საერთო გაზეთი

№8 (785)
ოთხშაბათი
5 მარტი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.

ზელენსკი პოლიტიკოსი კი არა, „დიფ სთეითის“ პროექტია

ბატონო პრემიერ-მინისტრო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სენატში!

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ოფიციალური ვიზიტი უზბეკეთის რესპუბლიკაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ოფიციალური ვიზიტი უზბეკეთის რესპუბლიკაში დაიწყო.

ტაშკენტის ისლამ კარიმოვის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს მთავრობის მეთაურს უზბეკეთის პრემიერ-მინისტრი აბდულა არიპოვი, ვიცე-პრემიერი ჯამშიდ ხოჯაევი და ტაშკენტის მერი შავკატ უმურზაკოვი დახვდნენ.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ შავკატ მირზიოევთან, პრემიერ-მინისტრ აბდულა არიპოვთან, ასევე საკანონმდებლო ორგანოს საკანონმდებლო პალატის სპიკერსა და სენატის თავმჯდომარესთან.

ტაშკენტში ორი ქვეყნის მთავრობის წევრების მონაწილეობით საქართველოსა და უზბეკეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-10 სხდომა გაიმართება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი უზბეკეთის რესპუბლიკას დელეგაციასთან ერთად ეწვია, რომლის შემადგენლობაში პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, სპორტის მინისტრი შალვა გოგოლაძე და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი არიან.

●

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე უზბეკეთის რესპუბლიკის ოლი მეჯლისის სენატის თავმჯდომარე ტანზილა ნარბაევას შეხვდა.

შეხვედრისას ყურადღება დაეთმო საქართველოსა და უზბეკეთს შორის არსებულ მრავალწლიან მეგობრულ ურთიერთობებს და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებს.

პრემიერ-მინისტრმა ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება და მთავრობათაშორისი, პარლამენტთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივაზე ისაუბრა.

პრემიერ-მინისტრს საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების" გამარჯვება მიულოცა ოლი მეჯლისის სენატის თავმჯდომარემ.

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სენატში!

მინდა, მოგილოცოთ „ქართული ოცნების" დამაჯერებელი გამარჯვება. გულწრფელად გისურვებთ წარმატებებს პირადად თქვენ და თქვენს დელეგაციას. თქვენი გამარჯვება არის თქვენი ხალხის ნდობის მტკიცებულება. ჩვენი ურთიერთობები ძლიერდება და მჯერა, თქვენი ვიზიტი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას ", - განაცხადა ტანზილა ნარბაევამ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ოლი მეჯლისის სენატის საპატიო სტუმართა წიგნში სამახსოვრო ჩანაწერი გააკეთა.

●

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე უზბეკეთის ოლი მეჯლისის საკანონმდებლო პალატის სპიკერ ნურიდინ ისმოილოვს შეხვდა.

ხაზი გაესვა საქართველოსა და უზბეკეთის საკანონმდებლო ორგანოებს შორის არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობას.

მთავრობის მეთაურმა საკანონმდებლო პალატის სპიკერს ქართული დელეგაციის მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებზე ისაუბრა. ირაკლი კობახიძემ ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით არსებულ პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება.

უზბეკეთის ოლი მეჯლისის საკანონმდებლო პალატის სპიკერმა ირაკლი კობახიძეს საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების" დამაჯერებელი გამარჯვება და პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ხელახლა არჩევა მიულოცა.

„ჩემთვის დიდი პატივია, მოგესალმოთ უზბეკეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო პალატაში. გულთბილად მაგონდება 2018 წელს უზბეკეთის საკანონმდებლო ორგანოში თქვენი პირველი ვიზიტი, რომლის დროსაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბრძანდებოდით. სასიამოვნოა, რომ ამჟამად გმასპინძლობთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში.

მინდა, გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და გულითადად მოგილოცოთ ქვეყნის მთავრობის მეთაურად ხელახლა დანიშვნა და „ქართული ოცნების" დამაჯერებელი გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში. ასევე ძალიან გვსიამოვნებს, რომ მე-11 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარედ ბატონი შალვა პაპუაშვილი იქნა არჩეული. ამასთან დაკავშირებით, გთხოვთ, გადასცეთ ჩემს კოლეგას ჩვენი გულთბილი მილოცვა. კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ „ქართული ოცნების" დამაჯერებელი გამარჯვება მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა და საქართველოს მთავრობის მიერ ყველა მიმართულებით განხორციელებულ ფართომასშტაბიან რეფორმებზე მეტყველებს, ისევე, როგორც ქართველი ხალხის მხარდაჭერაზე.

მაღალ ნიშნულზეა უზბეკეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები და პარლამენტთაშორისი დიალოგი.

საქართველო უკვე გახდა დემოკრატიული განვითარების და რეფორმების მოდელი; არჩევნები ამ სულისკვეთებით ჩატარდა. თქვენ წარმატებით გაუმკლავდით წნეხსა და სერიოზულ დაძაბულობას ქვეყანაში", - განაცხადა ნურიდინ ისმოილოვმა.

ნუცუბიძის პირველ მიკრორაიონში დასასვენებელი სივრცე და სპორტული მოედანი ეწყობა

ვაკის რაიონში, ნუცუბიძის პირველი მიკრორაიონის N9-10 კორპუსების მიმდებარედ, სკვერი და სპორტული მოედანი ეწყობა.

3000 კვადრატული მეტრი ფართობის სივრცე შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვება, მოეწყობა დასასვენებელი პავილიონი, სპორტული მოედანი, ფიტნეს ზონები, საბავშვო მოედანი.

მიმდინარე სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე, საკრებულოს თავმჯდომარე, ვაკის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ გიორგი ტყემალაძესთან ერთად გაეცნო.

„ნუცუბიძის პირველ მიკრორაიონში სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ირგვლივ ბევრი საცხოვრებელი კორპუსია. გვინდა, რომ აღნიშნული ტერიტორია, რომელიც, დაახლოებით, 3 000 კვ. მეტრია, სრულად მოვაწესრიგოთ. პროექტის ფარგლებში გაკეთდება ფანჩატურები, სასეირნო ბილიკები, დაირგვება ხე-მცენარეები, ტერიტორია გამწვანდება, ბავშვებისთვის მოეწყობა ატრაქციონები, ასევე, გამოიყოფა სავარჯიშო სივრცე, დამონტაჟდება განათებისა და სარწყავი სისტემები. სამუშაოების განხორციელებას, დაახლოებით, ორი თვე დასჭირდება", - განაცხადა კახა კალაძემ.

პროექტს ვაკის რაიონის გამგეობა ახორციელებს. სამუშაოების ღირებულება 960 000 ლარია.

დედაქალაქის მერთან ერთად, ადგილზე მერის მოადგილეები - ირაკლი ბენდელიანი და კახა გულედანი, ასევე, ვაკის გამგებელი დავით კვინიკაძე იმყოფებოდნენ.

გვესაუბრება „ხალხის ძალის“ წევრი ზურაბ ქადაგიძე

ზელენსკი პოლიტიკოსი კი არა, „დიფ სთეითის“ პროექტია

— ბატონო ზურაბ, რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ოვალურ კაბინეტში მომხდარი სკანდალიდან?

— პირველ რიგში, ეს ცხადყოფს, რომ ევროპა, ომის დასრულების მიზნით სამშვიდობო მოლაპარაკებას არც კი განიხილავს. ბაიდენის ადმინისტრაცია ბრძოლას ბოლო უკრაინელამდე აპირებდა, თუმცა, ტრამპის გამარჯვებამ მათი გეგმები ჩაშალა. ისინი არათუ ომის განელებას ან კონფლიქტის გაყინვას, არამედ უკრაინის ბოლომდე გაწირვას და ამის ხარჯზე საკუთარი ილუზორული უსაფრთხოების შექმნას აპირებდნენ. ტრამპმა, ამის საწინააღმდეგოდ, მსოფლიოს სულ სხვა პოლიტიკა შესთავაზა, რომლის ჩარჩოში გლობალური ომის პარტია, ე. წ. დიფ სთეითი ვერ ჯდება. უკვე კითხვის ნიშნებიც აღარ ჩნდება, თუ ვინ წარმოადგენს დიფ სთეითს. მაგალითად, ტრამპმა პირდაპირ თქვა, რომ „სოროსი“ დიფ სთეითის ერთ-ერთი შემოქმედია. როცა ეს უკანასკნელი ომის რიტორიკას აღვივებდა, მავანს ეცინებოდა, თუმცა, საბოლოოდ, იქამდე მივედით, რომ ეს რეალობა და მსოფლიო მშვიდობის წინაშე დიდი შეთქმულება აღმოჩნდა. ომში ხომ საკმაოდ დიდი ფული იშოვება. ევროპას სურს, ამერიკა ამ ომში კვლავ მხარედ ჩაერთოს. რეალურად, მხარეს სრულიად დასავლეთი წარმოადგენდა, რომელიც ცდილობდა, საკუთარი მიზნები და ინტერესები ბოლომდე დაეკმაყოფილებინა, რისი პროვოცირებაც უკრაინის „ხელით“ ხდებოდა.

ზელენსკი თეთრ სახლში ოვალურ კაბინეტში გამართულ შეხვედრაზე, პრეზიდენტისთვის და ისეთი იმპულსური პერსონისთვის, როგორიც ვენსია, ჭკუის დარიგებას შეეცადა. მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების გაფორმების ნაცვლად, შეხვედრა ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა, რამაც უკრაინის ელჩი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. ყველაზე კარგად რეალობას დიპლომატები აფასებენ. ამ ქალბატონს სახეზე ეწერა, თუ რა ჩიხში შეიყვანა მოლაპარაკება ზელენსკიმ თავისი თავხედური ქცევის გამო. წარმოგიდგენიათ, იგი თითს უქნევდა ზესახელმწიფოს ლიდერს, რომელიც ომში უკრაინის მთავარი დონორია. ეს შეხვედრა, რეალურად, ზელენსკის განაჩენი იყო. ჩემი აზრით, ზელენსკი ან არჩევნებით, მშვიდობიანად წავა, ან თავის კარიერას ძალიან ცუდად დაამთავრებს. მას თავად საკუთარი გარემოცვა „შეჭამს“.

გამოიკვეთა, რომ ზელენსკი ამ ურთიერთობებში ხიჭვია, რომელიც სასწრაფოდ მოსაშორებელია. მსგავსი სკანდალი ისტორიას არ ახსოვს, თან ასე ღიად — ჟურნალისტების თანდასწრებით. რეალურად, ზელენსკი პოლიტიკოსი არასდროს ყოფილა, არამედ დიფ სთეითის პროექტია. იგი უკრაინის პრეზიდენტად დასვეს, რომელსაც შესასრულებლად კონკრეტული სცენარი და დავალება მისცეს. ზელენსკი მსახიობია, რომელსაც დრამატული როლის შესრულება ხვდა წილად. პროექტი ჩავარდა და ვფიქრობ, პასუხისმგებლობასაც ბოლომდე ზელენსკის შეაწმენდენ. ევროპელი ბიუროკრატების, ოფიციალური ბრიუსელის განცხადებები, თითქოს ზელენსკის გვერდით დგანან, ფასადურია.

— გამოდის, დასავლეთი დიდი ომის გაჩაღებას ცდილობდა და იგივეს გადმოტანა საქართველოშიც უნდოდა. ეს საფრთხე ისევ არსებობს?

— სანამ უკრაინაში ცხელი წერტილები არსებობს, სანამ სამშვიდობო მოლაპარაკებები არ დასრულდება და კონფლიქტი მინიმუმ, არ გაიყინება, მანამდე საქართველოს ომში ჩართვის საფრთხე მოხსნილი არ არის. გავიხსენოთ, როგორ ცდილობდა დასავლეთი ჩვენი ქვეყნის ომში მხარედ ჩართვას. ღარიბაშვილმა სამი წლის წინ ამ პროცესთან პირდაპირ წითელი ხაზი გაავლო და აღნიშნა, რომ ხელისუფლება მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს. როცა მიხვდნენ, რომ ხელისუფლებას ომში ჩართვაზე ვერ დაითანხმებდნენ, მეორე გეგმა აამუშავეს. კერძოდ, ვითომ არჩევნების გაყალბება რევოლუციური პროცესების, მაიდანიზაციის მოსაწყობად უნდა გამოეყენებინათ და ხელისუფლება შეეცვალათ, რასაც მოჰყვებოდა მოლაპარაკებების გამართვა საქართველოს ომში მხარედ ჩართვის შესახებ. არჩევნებით მიზანს ვერ მიაღწიეს, შედეგად, მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა მიზანმიმართულ საბოტაჟს, პროვოკაციებს. დასავლეთი აქაურ გავლენის აგენტურას ქაოსის შექმნისკენ უბიძგებს. რეალურად, სანამ საზოგადოებაში ხელოვნურად შექმნილი ვნებათაღელვა არ დაცხრება, საფრთხე ყოველთვის იარსებებს. დიახ, სანამ უკრაინაში ომია, საქართველო ფეთქებადსაშიშ ვითარებაში რჩება.

— წინა კვირას გაეროში აშშ-ის რეზოლუცია წარადგინეს, სადაც საქართველო პირველი თანასპონსორია და მხარს უჭერს პროექტს — „გზა მშვიდობისა“. ეს რამდენად შეუწყობს ხელს ამერიკასთან ურთიერთობის გადატვირთვას?

— საქართველოს მთავარი ხაზიდან არასდროს გადაუხვევია და ყოველთვის ამბობდა, რომ კონფლიქტის შეჩერება, გაყინვა აუცილებელია. მისასალმებელია, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაციის პოზიცია შეიცვალა და ომის რიტორიკიდან მშვიდობაზე გადაერთო. აქვე გეტყვით, რომ ტრამპის პოლიტიკა ჩემთვის მოსაწონი იქნება მანამ, სანამ ქართულ-ამერიკულ ინტერესები ერთმანეთს დაემთხვევა. დღეს ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკა ერთი ერთში იმეორებს ქართული პოლიტიკის ხაზს. რეზოლუციის ტექსტს რაც შეეხება, მკაფიოდ გაწერილია, რომ ომი ყოველ მიზეზგარეშე უნდა დამთავრდეს. მშვიდობის გზას მსოფლიოსთვის ალტერნატივა არ აქვს, თორემ სხვა შემთხვევაში, მესამე მსოფლიო ომამდე მივალთ. ჩვენს თანასპონსორობაში დადებითი ის არის, რომ ამერიკას ნებისმიერ საკითხში პარტნიორი ესაჭიროება. როცა ამერიკა ღიად ხედავს, რომ საქართველოს პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე კი არ სურს მასთან თანამშრომლობა და ამიტომ კი არ კეკლუცობს, არამედ კონკრეტულ საკითხებზე მდგრადი დამოკიდებულება აქვს, რაც მომავალში აშშ-სთან გადატვირთვის პოლიტიკაზე დადებითად იმოქმედებს. მთავარია, ეს აქტუალური პროცესები კალაპოტში ჩადგეს, რის შემდეგაც, დღეს თუ ხვალ, ქართულ-ამერკული ურთიერთობების გადატვირთვა აუცილებლად დაიწყება. თუნდაც რეზოლუციის თანასპონსორობა, რაშიც საქართველო პირველი იყო, გადატვირთვის პოლიტიკაში დადებით როლს შეასრულებს.

— საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობდა. ამით გამოჩნდა, რომ ქვეყანა იზოლაციაში ნამდვილად არ არის. თუმცა, რადიკალებს საბოტაჟის მცდელობა იქაც ჰქონდათ...

— იზოლაციის თემა ხელოვნურია. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე როცა ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია, რომ მის დასკვნაში წერია — საქართველოში არჩევნები შედგა. ეს ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით შეკითხვებს აღარ ტოვებს. თუმცა, ლეგიტიმაციას ხელისუფლებას ხალხი ანიჭებს. რეგიონული კონფლიქტის ფონზე, ბრიუსელისთვის ყველა მიმართულების კონტროლი მნიშვნელოვანია. სწორედ ამისთვის სჭირდებათ ე. წ. დიფ სთეითს და გლობალური ომის პარტიას საქართველოში საბოტაჟი. არ მაქვს ილუზია, რომ ხვალ კუბილიუსი, ფოტიგა, იუკნევიჩიენე თუ სხვები, კარდინალურად შეიცვლიან რიტორიკას და საქართველოზე დადებით კონტექსტში ისაუბრებენ. ამიტომ საქართველომ საკუთარი პოზიცია ყველა ფორმატის შეხვედრაზე, იქნება ეს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა თუ სხვა, მკვეთრად უნდა დააფიქსიროს. აშკარად იკვეთება, რომ ჯო უილსონების და დაქირავებული ლობისტების მეშვეობით ამ პროცესების პედალირება ხდება. ეს ასამბლეაზეც კარგად გამოჩნდა.

— ჯო უილსონმა ეუთო-ს მოუწოდა, საქართველოს ხელახალი არჩევნების ჩატარება მოსთხოვოს. ევროპის რიტორიკა ჩვენდამი არ იცვლება. როგორ გაგრძელდება მასთან ურთიერთობა?

— ხელახალი არჩევნების ჩატარება აბსურდია. წარმოიდგინეთ, ევროპელმა აქტორებმა, ბრიუსელის ოფიციოზმა რიტორიკა შეცვალონ და საქართველოს წარმატებაზე, დადებით ტენდენციებზე, ანუ რეალობაზე საუბარი დაიწყონ, ადგილობრივი აგენტურა ხომ ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე დარჩება და პოლიტიკიდან ერთ დღეში აღიგვება. ეს არ აწყობთ, რადგან ასე დასაყრდენი გამოეცლებათ. დააკვირდით, რა დღეში არიან გვარამიები და სხვა ე. წ. პოლიტიკანები, რომლებიც ევროპაში დარბიან და ითხოვენ, რეზოლუციაში ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ დაწერონ. ოპოზიცია ტალღის ქიმზე ტივტივებს. ამ რეზოლუციების ტექსტს ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე თავად ფურცელს.

ქართველი საზოგადოება კარგად ხედავს, რას ემსახურება ეს რეზოლუციები, სადაც კონტექსტიდან ამოგლეჯილი ტყუილები წერია. ამის ფასი ქართველი ხალხისთვის ნულია. ხელისუფლება ასეთ ინსინუაციებზე ადეკვატურად რეაგირებს. სამწუხაროდ, ევროპის მხრიდან კვლავ ზეწოლის მცდელობას აქვს ადგილი, მაგრამ მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან შემცირებულია. ამიტომაც კონტექსტი სწორად უნდა გავიგოთ: ვიმეორებ, სანამ ომი მიმდინარეობს, ილუზია არ უნდა გვქონდეს, რომ დიფ სთეითი, გლობალური ომის პარტია ჩვენს მიმართ რიტორიკას შეცვლიან. რაც შეეხება ჯო უილსონს, წლის ბოლოს „ფარა“-ს კანონით გაირკვევა, რა თანხად დახურდავდნენ ეს ლობისტები.

— ბოლოს გვითხარით, რას უკავშირდება კანონმდებლობის გამკაცრება და რა შედეგს მოიტანს?

— ეს საკითხი კონტექსტიდან ამოგლეჯილად არ უნდა განვიხილოთ. სახეზეა ზღვარგადასული ექსტრემიზმი. ეს სამართლებრივ რეგულაციებს საჭიროებს, რათა რიგი მავნებლობების პრევენცია მოხდეს. მსგავსი რეგულაციები საზოგადოებას იცავს. მაგალითად, „ფარა“-ს ანალოგი კანონი ერთ-ერთი ინსტრუმენტია მავნებლური ლობიზმისა და გარე ჩარევებისგან თავის დასაღწევად. დიფ სთეითის, გლობალური ომის პარტიის, იუესაიდ-ის, ზოგადად, სოროსის სინდიკატიდან წამოსული ფინანსების 90% ე. წ. ნჯო-ებსა და მედიაპლატფორმების შექმნაში იხარჯებოდა. ოღონდ, ეს მედია რეალურ ჟურნალისტურ საფუძვლებს აბსოლუტურად მოწყვეტილია. შედეგად, ფეიკმედიაპლატფორმები შეიქმნა, საიდანაც ჩვეული, სასტიკი მეთოდებით: პიროვნული ბულინგით, ბავშვებზე, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შეზღუდულ უნარებზე ზეწოლით, ფსიქოლოგიური ტერორი, მათ ცნობიერებაზე ზემოქმედება ხორციელდება. აბსოლუტურად ყველა ჩარჩო დარღვეულია. მედიაპლატფორმის მხრიდან ტყუილების და ფეიკნიუსების კორიანტელია, რაშიც კოლოსალური თანხებია დახარჯული. მე თუ მკითხავთ, კანონების გამკაცრება აქამდეც უნდა მომხდარიყო. ჯერ ერთი, მედია ასეთი მავნე მიდრეკილებებისგან უნდა გათავისუფლდეს და მეორეც, ამისგან საზოგადოება მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული. ეს კანონპროექტი ორივე მხარისთვის აუცილებელია — როგორც მედიის გაჯანსაღებისთვის, ისე საზოგადოებისთვის. ორივე კომპონენტი — მედიაგარემო და საზოგადოება, ჟურნალისტი და ადამიანი, ერთმანეთთან პირდაპირ ბმაშია. ერთის გაჯანსაღებით მეორეც გაჯანსაღდება.

თამარ შველიძე

დაიჯესტი: კვირიდან კვირამდე

თოვლის სტიქიის კვირეული დროებით დახურულია, მაგრამ მაინც ჩელიაბინსკი გვყავს სტუმრად — იმდენი იძახეს, ჩელიაბინსკში გავიღვიძებთ, თუ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვაო, რომ ზებუნებრივი ძალები ჩაერთვნენ საქმეში და ჩელიაბინსკი თვითონ ჩამოვიდა „სოლნეჩნაია გრუზიაში“. „ჟანგმოდებულ და დაუძლურებულ რუსეთთან“ ომზე რომ იქაჩებიან და სამ დღეში მოსკოვში ტანკების შერიხინებას გეგმავენ, ის „გმირები“ მაინც ჩაჩუმდნენ, ვაი, დედიკო, დიდი თოვლი მოვიდა, გვიშველეთო, — ასე მოთქმა უხერხულია გმირებისთვის...

ბევრს ეცადნენ პელენძუკები, ისეთი უბედური შემთხვევა გამოეჩხრიკათ, სადაც რამენაირად „ქართული ოცნების“ ბრალეულობის ჩასმა იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ ვერც ეგ მოახერხეს.

ამასობაში დაფინანსების ძალუმად ხარჯვის სტიქია მიუახლოვდათ 5000-ლარიანი ჯარიმების გადახდის სახით. მე ის მაწუხებს, მაინცდამაინც ჩემი სამსახურიდან სახლში მისვლის დროს რომ უწევთ ჩემს სავალ გზაზე დოლ-დაფდაფი და გზას უკეტავენ ტრანსპორტს, თორემ იარონ გზააბნეული დაჩიპული ტურებივით, ჩემგან რა მიდის. ისე, ტურებს რაღას ვამცირებ, მათიღა მომერიდა, — ტურები, კვალში ძაღლები რომ ჩაუდგებიან და ატყობენ, ვეღარ გავექცევით, გაგვგლეჯენო, ფაღარათს დაიმართებენ და ისე ამყარალებენ მიდამოს, მდევრები უკუიქცევიან. ამათ ეგეც პირიქით სჭირთ, ფაღარათი კი ემართებათ, მაგრამ თან ყვირიან, 5000-ლარიანი გადურაკებული ვარ, გადამყლაპეთო. ის დაბერებული მუსიე ზურაბიშვილი რაღამ გამოაჩიკჩიკა ასე, რომ ერთ დღეში 10000 ლარი აიკიდა.

ახლა გაზაფხულის იმედზე არიან, ეს ამდენი თოვლი წყლად ხომ უნდა იქცეს და რა კარგი იქნება წყალმოვარდნები, ეგებ, რომელიმე სოფელი წყალმა წაიღოსო, — ნატრობენ გვამებზე მოცეკვავეები.

2012 წლამდე საქმიანი ქალი ამბობს, მალე სანტავიკებით დაწეპებული რიკოთიც დაიხუვლებსო და გვამებზე მოცეკვავეები ხარობენ, ფულია დასანანი, თორემ, რაც მალე, მით უკეთესიაო... საქართველოს უხსოვარი დროიდან რამდენი მტერიც ჰყავდა, იმ მტრების გაერთიანებული სპერმით გაკეთებულები თუ არ არიან ესენი, სხვა რაღა ვიფიქრო, არ ვიცი...

მანამდე, გაცხადებული გეგმა აქვთ, რომ საქართველო-სომხეთის მატჩზე დასასწრები ბილეთები მთლიანად შეისყიდონ, რათა მატჩი ცარიელი ტრიბუნების ფონზე წარიმართოს. ვაჰ, რა დურაკები არიან, ხოლო, რატომ არიან დურაკები, ვინც აუხსნელად ვერ ხვდება, ის ახსნითაც ვერ გაიგებს!..

დაფეთებულმა მიშა მშვილდაძე მიმართავს „ევროპიან უნიონ ინ გეორგია“-ს (ასეა ამათებურად) მიმართა: „მთელი წელი რომ ბაზრობდა ჯოზეფ ბორელი, 120 მილიონი ევრო საქართველოს მთავრობის ნაცვლად, 2025-ში ენჯეოებს და მედიას უნდა მივცეთო, — რას შვებით, გავიდა პირველი კვარტალი, დავიხურეთ ნახევარი მედია და სულს ვღაფავთ დანარჩენი და სანამ მიიღეს ქოცებმა ახალი კანონები, რომლითაც მაგასაც აგიკრძალავენ, ქენით რამე დროზე, — ფული ხო მაინც გაქვთ, რაც ნაღდი ვიცით და დაგვეხმარეთ დროზე, თუ აპირებთ, თორემ უხერხულია ასე დაპირება და მერე გადაგდება. ვახ!“

ხელფასს არ მიგვიანებს უფროსი, თორემ მშვილდაძის ტექსტს დავიზეპირებდი და მეც ასე მოვითხოვდი, — რაღაცნაირი ტექსტია, ოლია მათხოვარსაც რომ შეშურდება, ისეთი.

შეისმინა ევრომასწავლებელმა მშიერმუცელა მონების ღაღადი და გაგიხერხებთ რამესო, — დააიმედა. ეს პაველაც რა უტიფარი ვინმეა...

ქართველი „ჯენზები“ წუწკუნებენ, „ქოცნება“ სავსეა ნაცებითო. კი, სავსეცაა და გადავსებულიც, მაგრამ კი დამაბნიეს — მათთვის კარგი არ არის? თუ იმას წუხან, რომ საფუძველი ეცლებათ, ნაცებს პარტიული ნიშნით დევნიანო, — მოკლედ, ძალიან ავირიე...

ისედაც აბნეულს, ვინმე კახა გოგიძე მეჭირვებოდა? არადა, შეხედავ და სერიოზულ კაცს ჰგავს. ტიპი საქვეყნოდ წერს, რობერტ დე ნირო, რიჩარდ გირი, ალეკ ბოლდუინი, ოპრა უინფრი და კიდევ ბევრი არტისტი და ცნობილი ადამიანი ტოვებს შტატებს ტრამპის და მასკის ქოცური მასკარადის გამოო. ქოცურიო, კაცო, ქოცურიო! ვეღარ გავიგე, ტრამპი და მასკი ქოცურად უბერავენ, თუ პუტინურად?

ამასობაში, „ტვ-პირველმა“ კობახიძე საქართველოს პრემიერად აღიარა და მიხეილ ყაველაშვილი საქართველოს პრეზიდენტად, თან წარწერაც დაურთო, სტიქიის ზონაში არიანო. ვიღაც აზრზე მოვიდა და გააქრეს „ფაქტი“, მაგრამ ამ საშინელი „იაღლიშისთვის“ ვის ჩამოაღრჩობენ, ნეტავ?

ოფიციალურად გაცხადდა, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მხარდასაჭერი პროექტისთვის ევროკავშირი 1,5 მილიონ ევროს გამოჰყოფს. ვიღაცამ არ დაიზარა და გამოინგარიშა, რომ თითო „შიგევროპელზე“ 12500 გამოდის. დღეში 200 რომ გამოიყვანონ, ორ თვეს გაქაჩავენ. რეალურად კი, დღეში 100 ლარიც რომ გადაუხადონ, ამ ერთი „ტრანშიდან“ მილიონზე მეტი „ფინანსისტის“ და „ორგანიზატორების“ ჯიბეებში ჩასრიალდება.

ილიკოსი და ილარიონისა არ იყოს, ფრონტიდან რა ისმისო და, ლავროვმა კატარის ემირ თამიმ ბენ ჰამად ალ თანისთან შეხვედრისას თქვა, ვინცხა იმისი არ იყოს, ეს ევროპა ძალიან ცუდად იქცევა, როგორცკი უკრაინაში პოლიტიკურ ძალთა ბალანსი იცვლება, ევროპა ცდილობს ამ ტენდენციის განადგურებას და აცხადებს უკრაინისთვის ახალი, მასშტაბური სამხედრო დახმარების პაკეტების გადაცემის შესახებო; ევროპა ღიად ცდილობს უკრაინაში კონფლიქტის დარეგულირების პროცესის ჩაშლასო.

შიში, ბიძია, შიში! ევროპას ისე ეშინია რუსეთთან პირდაპირ გამოცხადებული ომის, რომ უკრაინაში პროქსი ომი ყველანაირად ურჩევნია. საკვირველი მხოლოდ უკრაინის უსასრულო დაბოლებაა, — ვერ ვხვდები, თვით ის ნამდვილად მეომარი ვაჟკაცი უკრაინელები, რომლებიც მავანთათვის მხოლოდ სამიზნეები არიან და სხვა არაფერი, რანაირადღა ხარობენ სიკვდილთან თამაშით...

სხვა საკითხებზე რა იქნება, იქით იყოს, მაგრამ რუსეთის სახელით ლავროვმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ რუსეთი არ განიხილავს უკრაინაში ევროპული სამშვიდობო ძალების განთავსების არანაირ ვარიანტს და პირიქით, ხაზს უსვამს, რომ, რაც უკრაინისგან „დარჩება“, უნდა გათავისუფლდეს რასისტული კანონებისგანო; და, ვაბშეტა, ნებისმიერი ქმედება რუსეთის გაყინული აქტივების წინააღმდეგ, მოსკოვის პასუხის გარეშე არ დარჩებაო.

იქით რა ხდება და, ფრიდრიხ მერციღა აკლდა დასავლურ დომხალს. ისაო, ევროპული გაერთიანება გვჭირდება აშშ-ის, რუსეთის ჩარევის მოსაგერიებლადო. ეს მერცი-ჰერცი და შოლცი-მოლცი ევროპისთვის იგივეა, რაც ჩვენთვის ალია და ოსმანა...

გამოწუნკალდა პეტერ ფიშერი და, გერმანია საქართველოსთან ურთიერთობის ყველა ასპექტს სინანულით ადევნებს თვალს და განიხილავსო. ძალიან შფოთავენ მაისის არჩევნებამდე.

კაია კალასმა, კაი ვარო და რუბიოსთან ჩავიდა დათქმულ „სვიდანიაზე“, მაგრამ ამასობაში რუბიოს ტრამპულმა ჩამოუქროლა და მასთან შეხვედრა გააუქმა. ალბათ, დადის ახლა კაია და ფატიმასავით ხარხარებს...

ტრამპმა თქვა, ევროკავშირი იმიტომ შეიქმნა, რომ აშშ გაეცურებინა და წარმატებითაც იმუშავეს, მაგრამ ახლა მე ვარ აშშ-ის პრეზიდენტი და ჩააწიტონო სულაც, შემიძლია ვთქვა, რომ უკრაინისთვის ნატო-ს დავიწყება შეიძლება, მაგის ბრალია ყველაფერიო.

ამ გახსენებაზე, ტრამპს რომ მასტი დავუჭიროთ და საქართველოს მიერ აკადემიური თავისუფლების შეზღუდვისა და ევროკავშირში გაწევრიანების შეჩერების გამო და წუხან, რა ქნან, ასეთია აფერისტების წესი. თუმცა, აფერისტობა რა შუაშია, გერმანელებს ისეთი სასტიკი ზღაპრები აქვთ, ძმები გრიმები კინაღამ ჩამოაღრჩვეს, ეს რეები შეგიგროვებიათ, ხომ არ გაგიჟებულხართ, მოგვეჭრა თავი, სასწრაფოდ გააკეთილშობილეთო.

რუმინეთში კალინ ჯორჯესკუ დააპატიმრეს, მაგას რუსული განწყობები და ფაშისტური გამონათქვამები ახასიათებსო. ჰოდა, კიდევ, ჩუმად „კალინკასაც“ ცეკვავსო... ჯორჯესკუ ვის ანადვლებდა, თავის გაგებაში ბრიუსელმა სილა გააწნა ტრამპის ადმინისტრაციას და ფინალი რა იქნება, გზადაგზა ვნახავთ ლომაც დაივიწყოს ნატო და ევროკავშირი, ვინ გაგვლახავს? ბიჯო, ტრამპი ტელეპათიით მიჯერებს და ამ „ქართულ ოცნებას“ მოკლე მანძილზე ვერ შევასმინე ამ თემაზე ვერაფერი...

დონალდ ტრამპის მინისტრთა კაბინეტის პირველი სხდომა ხომ მთლად საკვირველებათა სამყაროდან იყო — სხდომა ლოცვით დაიწყო, რომელიც საცხოვრებელი და ურბანული განვითარების მინისტრმა სკოტ ტერნერმა წარმოთქვა. მან მადლობა გადაუხადა უფალ იესოს და პრეზიდენტ ტრამპის საქმიანობაში ხელისშეწყობა სთხოვა.

აშშ-ის გენპროკურორმა პემ ბონდიმ დაადასტურა, რომ იუსტიციის დეპარტამენტი გეგმავს „ჯეფრი ეპშტეინის სიის“ გასაჯაროებას და ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა პირის დასახელებას, არადა, მე „უჩა აბაშიძის სია“ და მასთან დაკავშირებული პირების ვინაობა მაინტერესებს, — ეს ჩვენი გენპროკურორი რა არააზარტული ვინმეა, სანახაობის არსის გაგებაში არ არის...

ამ გახსენებაზე — ვაშინგტონში, თეთრის სახლის წინ, უკრაინის ხელისუფლების ორგანიზებით, დონალდ ტრამპის საწინააღმდეგო მიტინგი ჩატარდაო, სადაც მისი კარიკატურები გამოფინეს და თავზე ახურავდნენ დედას და დედის სანათესაოს, სიზმრად ვნახე საიათნოვასავით, თუ ჩელიაბინსკი ჩამოტარებითაა?

ეს რანაირი სიზმარი ვნახე, — აღნიშნულ მიტინგს უკრაინის თუ აკრაინის, ან სულაც ოკრაინის, ოქსანა თუ აქსანა მარკაროვა თუ მარქაროვა ხელმძღვანელობდა და მიტინგის მხარდასაჭერად ევროკავშირის სახელმწიფოს ელჩებიც მივიდნენ.

სიზმრის ბოლოში უკრაინის ელჩი იმავე დღეს სასწრაფოდ გააძევეს...

„ქართული ოცნების“ ხელი-

სუფლებას ცხადს ვერ ვაგებინებ და ჩემს სიზმარს დაუჯერებენ, რომ მასტი ტრამპს დაუჭირონ და მიბაძონ?

მართალია, ვერ გავიგე, რა სპექტაკლს ვუყურეთ, — შეხვედრები დახურულ კარსმიღმა იმართება, შემდეგ გამოდიან მხარეები და შეხვედრის შედეგებს აცნობენ ჟურნალისტებს და თუ შეკითხვები აქვთ, პასუხობენ, მაგრამ რაც ვიხილეთ, ის არის, რომ „ქოცი ტრამპი“ მაგარ „ხოდზეა“, როგორც დიდმა პუტინისტმა ზელენსკის სახით დიფ-სტეიტი მოისროლა ოვალური კაბინეტიდან, შენ კოსტუმ-ჰალსტუხი რა უყავიო, მანამდე კი ზელენსკამდელ დიფსტეიტელებს მაკრონსა და ბრიტანელ გზაბნეულს მიუგველა, რუსები თუ დაგესხმიან თავს, დახმარება აღარ დაგჭირდებათო.

ეგრე როგორ უნდა გამოჩურჩუტდეს კაცი, რომ სენატორმა ლინდსი გრემმა, რომელიც აშშ-ის კონგრესში ყველაზე დიდი ნეოკონია და პირდაპირი ომი სურს რუსეთთან, ოვალურ კაბინეტში შეუფერებელი საქციელის გამო პრეზიდენტობიდან გადადგომისკენ მოუწოდოს, — ეს ზელენსკი ისეთი ვინმე ყოფილა, მაგასთან ურთიერთობა აღარ ღირსო. ჩემი გაშეშებული გულჩვილობისა გამკვირვებია, ადამიანურად მაინც რატომ არ მეცოდება...

გადავბჟირდი, — ამ ზელენსკიმ ისე გაჩაჩხა ფეხები და ისე ჯიქურ მიაწვა მამა-მარჩენალს, რო უკვე სერიოზულად ვფიქრობ, ვინმე ღრმა თუშურქუდიანი კახელის გაკეთებული ხო არ არის ეს შობელ-ძაღლიო?

კოსტუმის ხსენებაზე ჩვენი „ვიცამედელი“ წამოფრინდა, მე მაქვს კასტუმები და სულაც მაგიტომ ვზივარ, სხვა კი არაფერი დამიშავებიაო...

ისე კი, სასხვათაშორისოდ, აშშ-ის პრეზიდენტი თავის წარმომადგენელს რომ გამოგიგზავნის ოკეანის გაღმიდან და ვერ გნახავს იმიტომ, რომ თურმე ისე ტკბილად გძინავს, რომ აშშ ბანტად გაბია; ამის მერე ვაშინგტონში ჩახვალ და ევროპელი ომისმოყვარე მანიაკებისგან დარიგებული კიდევ „კაჩაობ“ და ცდილობ, გააბანძო იგივე აშშ, რომლის დიდწილად სამხედრო დახმარებითაც აქამდე გიდგია სული, კი უნდა იცოდე, რომ მადლობა გაქვს სათქმელი, სამახსოვროდ რეალური ჭიტლაყიც რომ არ გაჩუქეს...

ეს ზელენსკი ვერაა, მაგას ხელის მოწერა უნდა შეთანხმებაზე და თან ომის გაგრძელებაც, მასე ვერ გავფრინდებით და სანამ მშვიდობა არ მოუნდება, მაგის დუხი არ ვნახო აქა, ეგ ბოროტი ჩიტირეკიაო...

ძმაო, არ ინაღვლო, მარტო არ იქნება უკრაინა, აგერ ვართ შარვალ-კოსტუმ-ჰალსტუხიანი ხალხიო, — დამაიმედებლად მიუსამძიმრა თეთრი სახლიდან გატყორცნილ ზელენსკის ლიეტუვამ, გიტანას ნაუსედას პირით.

პრეზიდენტო ზელენსკი, ღირსების მეტრო, სანტიმეტრო და დეციმეტრო, თქვენ არასდროს იქნებით მარტო! ჩვენ გავაგრძელებთ თქვენთან მუშაობას სამართლიანი და მდგრადი მშვიდობისთვის! — არცთუ შესაბამისად იმედიანი გრიმასით დაუყვავა ურსულა დეიდამ.

ისე, კარგი ყოფილა, როცა შენ არ გეხება რაღაც და მზესუმზირა ბატიბუტთან ერთად მომარაგებული გაქვს...

ეს მათი გადანგრეული ზელენსკი კიდე, ჩამომჯდარა თავის არაოვალურ კაბინეტში და ვარაუდშია, იმ ვენსის პრუტუნზე, ნეტა, მართლა ვთქვი „სუკა, ბლიად“, თუ მაბრალებენო? ე, ბიჯო, რუსულად რატომ ვთქვი, უკრაინულად მეთქვა, ან ებრაულად, ბოლო-ბოლო, ინგლისურად, ეს რუსულად გინება რატომ გამომიფრინდა ამ დედაუარღნო პირიდანო?

ამ ჩვენს ქალბატონ ტორღიალასაც რომ რამე არ ეთქვა, რა გული გაუძლებდა, — დარწმუნებული ვარ, რომ ეს „ამერიკა უპირველეს ყოვლისა!“ დემონსტრაციად უფრო გამოიყურება, როგორც პუტინის რუსეთის მერე მეორე ადგილზე მყოფი ამერიკაო. რამე ამდაგვარს რომ იტყოდა, კი ვიცოდი, მაგრამ იმდენი აღარ ვიცი, 25 თებერვალს თავისი შავი რედიკულიდან ლეგიტიმაცია ამოიღო, თუ ისევ „პოდრუჩკით“ დაჰყავს.

ცოტა ცერად გავხედე ჩრდილოეთს და, ვერ გავიგე, რას ღადაობდა კადიროვი: „ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სასწრაფოდ დავუკავშირდი რ/ფ საომარ-პოლიტიკურ მოქმედებათა მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსს და ვუთხარი, რომ დაუყოვნებლივ ააყენოს საწოლიდან 2 დაჭრილი მეომარი და გააგზავნოს ესტონეთში. იარაღი არ უნდათ, თავად იციან, რაც უნდა ქნან, რადგან ვიცით, რომ ესტონეთის „მრისხანე“ არმიას 2 რეზინის ნავი, 3 ველოსიპედი და 6 ავტომატი აქვს. ამაზე რუსეთის არმიას არ შევაწუხებთო“.

ეს ჩემის შიშტიბუკები, საქართველოსთვის სად ეკბინათ, მხოლოდ იმაზე რომ იყვნენ დაგეშილები და საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუციებზე მელნის შეშრობამდე აწერდნენ ხელს, უკვე კადიროვის დასაცინები რომ გახდნენ „ძაან პრადვინუტები“, ახლა მე დავცინი. იძახოს ანელი კოლკიმ, ესტონეთი მზად არის უკრაინაში სამხედროების გასაგზავნადო, — მე და კადიროვმა ხომ ვიცით, რა უძლეველი არმადა-არმიაც ჰყავთ.

როგორც ვატყობ, ზელენსკის ყველაზე მეტად უკრაინის პრეზიდენტობის დატოვებაზე გრემის სიტყვები არ მოეწონა, — ამერიკელები ირჩევენ აშშ-ის პრეზიდენტს და მხოლოდ უკრაინელები ირჩევენ უკრაინის პრეზიდენტსო. ისა და, ტრამპთან რომ რატრატებდა 2014 წელზე, ამ ჩვენის პარასკევგადანგრეულს 2014 წელს ვიქტორია დეიდას ფუნთუშები დაავიწყდა და ისიც, რომ თვითონაც ამერიკის გამოძვრენილია? უკრაინელებს და არა მხოლოდ მათ, ზელენსკი კეთილ კლოუნად უყვარდა და რამსები აერიათ, თორემ ახლაც რომ ჰყვარებოდათ იმ უკრაინაში, ყველა ოპოზიციური გაფაჩუნების ჩახშობა არ დასჭირდებოდა და არც არჩევნების დანიშვნის შეეშინდებოდა...

„ცეცხლი ოლიგარქიას ყველგან!“ — ჩუმად იყვირა ეკატერინე მიშველაძემ და მაიონეზი „სლობოდა“ თმაზე შეიზილა...

მე დავლიე, სხვა ვერაფერი მოვიფიქრეო, — გაგვენდო ვიკა ბურატინჩენკო და, სავარაუდოდ, მეორე დილას სახაშეში გაკვალიანდნენ, რა ცეცხლით ეშველათ საკუთარი თავისთვის.

ფინალი — ოდესური ანეკდოტი: ებრაელს სიკვდილით სჯიან და დასჯის წინ ჰკითხეს, უკანასკნელი სურვილი რა გაქვსო? სიკვდილის წინ მინდა, რომ ალუბალი ვჭამოო. ახლა 28 თებერვალია, ალუბალი საიდან მოგიტანოთ, ალუბალი ივნისშიაო. არა უშავს, ივნისამდე დავიცდიო.

ახლა ერთმა კრივოიროგელმა ებრაელმა თქვა, სანამ უკრაინას ნატო-ში არ მიიღებენ და რუსეთს არ დავამარცხებ, მანამდე უკრაინის პრეზიდენტი უნდა ვიყოო.

ნატო შეგიძლიათ დაივიწყოთო.

არა უშავს, მოვიცდი, სანამ გადაიფიქრებთო.

აშკარად მოხერხებული და ჭკვიანები არიან ებრაელები და ეს ზელენსკი რა რჯულის გამოდგა?!.

ზურა ოშხერელი

დოლარის პირამიდის დანგრევა გარდაუვალია...

დონალდ ტრამპმა სამხედრო დახმარების ნაცვლად, უკრაინისგან გირაოს სახით იშვიათ წიაღისეულზე წვდომა რომ მოითხოვა, ის სხვა საკითხია, იმ წიაღისეულის 82% რომ უკვე რუსეთის ხელშია, აშშ-ის წუპაკობა რომ კიდევ ერთხელ გამოჩნდა თვალნათლივ, ამაშია საქმე, — ტრამპი კი არა, ვინც უნდა გახდეს აშშ-ის პრეზიდენტი, აშშ წაგლეჯვის ჩვევას ვერ ჩაიკლავს.

რატომ?

აი, ამიტომ!

ეკონომისტი არ ვარ, მაგრამ ეკონომისტობა არ სჭირდება იმის გააზრებას, რაც ხელისგულზე დევს და რისი სტატისტიკური მონაცემებიც დადასტურებულია. ვეცნობი, ვაანალიზებ ცალკეული ეკონომისტების ნაზრევებს და მავანთა სიბრიყვისგან გაოგნებული ვარ. კარგი, აშშ ასეთია, წამღლეტელია, შენ, სახელმწიფო რომ ხარ, ერთი შორსმჭვრეტელი ჭკვიანი კაცი არ გირევია მთავრობაში?

აშშ-ის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 4%-ს შეადგენს, თუმცა, მსოფლიო რესურსების 40%-ს მოიხმარს, მაგრამ თვითონ პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილს აწარმოებს. რატომ უნდა გაისარჯოს და ამხელა ქვეყნის დასაკმაყოფილებლად პროდუქცია აწარმოოს, ეს არ აისახება სახარბიელოდ მის ფინანსურ მდგომარეობაზე, უმჯობესია დანარჩენი მსოფლიოს ძარცვა, დაწყებული შრომის ექსპლუატაციით, დამთავრებული ყველაფრით.

სახელმწიფო დონეზე აყვანილი მტაცებლურ-მუქთახორული განზრახვის სისრულეში მოსაყვანად კი იდეალური იარაღი აქვთ — დოლარი!

ზუსტად 25 წლის წინათ მითხრა აწ ცხონებულმა ოთარ კანდელაკმა, კაცმა, რომელსაც პოლიტეკონომიაში ლექციების წასაკითხად ვაშინგტონში იწვევდნენ, რომ, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, ჩამოყალიბდა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომლის თავდაპირველი ამოცანა ვალუტების კურსების საერთაშორისო სისტემის რეგულირება იყო, მოგვიანებით კი თავისი საქმიანობის მოდიფიკაცია მოახდინა.

მაშინ, 1945 წელს, დოლარმა აიღო მსოფლიო სარეზერვო ვალუტის ფუნქცია, მაგრამ გადაწყვეტილებაში მითითებული იყო, რომ დოლარი თანდათანობით დათმობდა თავის ფუნქციებს მსოფლიო ვალუტისთვის, რომელიც **SDR** აბრევიატურით არის ცნობილი. ის ფულის ფორმით არ არსებობს, ხორციელდება მხოლოდ გადარიცხვების სახით დღესაც, მაგრამ ნაკლებად თუ იცის ვინმემ მისი არსებობა. დოლარმა არ ჩათვალა საჭიროდ, რომ განვითარებულიყო ერთობლივი მსოფლიო ვალუტა, რადგან ეს დოლარის მსოფლიო პოზიციებს შეასუსტებდა. მართალიც იყო. დღეს დოლარი მსოფლიო ვალუტაა და მასზეა მიბმული ქვეყნების უმრავლესობის ვალუტები.

აშშ-ისა და სსრკ-ის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც სტალინმა უარი თქვა რუბლის დოლართან მიბმაზე და საგარეოსავაჭრო ოპერაციებში მის გამოყენებაზე. ამ მიზნებისთვის მან „ოქროს რუბლი“ შემოიღო, რომელიც რეალური ოქროთი იყო უზრუნველყოფილი. ამით სტალინმა ამერიკის მმართველ ელიტას სსრკ-ის რესურსებისკენ მიმავალი გზა გადაუკეტა.

აბა, გაიხსენეთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უპირველესად რა გააკეთეს „იდიოტმა რეფორმატორებმა“, — ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის ვალუტა დოლარს მიაბეს!

მოკლედ, ადამიანი თუ გამიზნულად არ დაიბრმავებს თვალებს, სურათი ყველასთვის ხილულია, — აშშ, როგორც მსოფლიო ვალუტის ემისიური ცენტრი, დოლარებს ბეჭდავს და მათ სანაცვლოდ მსოფლიო რესურსებს უწყვეტად ისრუტავს თავის სასარგებლოდ.

იცით, რამდენი დოლარია მთლიანობაში დაბეჭდილი? — 1 კვადრილიონ 420 ტრილიონი დოლარი, — ეს მსოფლიოს შიდა პროდუქტზე მეტია!

დღეს რომ „ფერად რევოლუციებს“ ვუწოდებთ, პირველი ასეთი რევოლუცია 1969 წელს მოუწყო აშშ-მა საფრანგეთში შარლ დე გოლს. დე გოლი პროფესიონალი სამხედრო იყო, შესაბამისად, ეკონომიკასა და ფინანსებში მოიკოჭლებდა, მაგრამ ჭკუა ჰქონდა და ეროვნული კაცი იყო. ყურადღება მიაქცია იმას, რომ მის სამშობლოში მისი ფულის ერთეულის პარალელურ ვალუტად იქცა დოლარი, რომლითაც ყიდულობდნენ და გაჰქონდათ როგორც რესურსები, ისე მხატვრული ფასეულობები.

ფინანსური ოპერაციების საკითხში გასარკვევად დე გოლმა ასაკოვან ფინანსისტს მიმართა. მისი პასუხი ასეთი იყო: წარმოიდგინეთ, რომ საფრანგეთი ყიდის „მონა ლიზას“. რუსი მის სანაცვლოდ გვთავაზობს 100 ათას რუბლს, რომლის მიღმა მოიაზრება: ოქრო, ალმასი, ნავთობი; ჩინელი გვთავაზობს 100 ათას იუანს, რომელშიც იგულისხმება: აბრეშუმი, ოქრო, მადანი; ამერიკელი გვაძლევს 200 ათას დოლარს და მიაქვს სურათი.

ფოკუზი რაშია? — იკითხა დე გოლმა.

ფოკუზი იმაშია, რომ ამ 200 ათასის ფასი იმ ქაღალდისა და საღებავის ფასს უტოლდება, რაც მის დაბეჭდვაში დაიხარჯა. ერთი ასდო-

გაგ. →

კანონმდებლობის გამკაცრებით ჟურნალისტიკა თავის სტანდარტებს დაუბრუნდება

გვესაუბრება პოლიტოლოგი, პროფესორი ლალი მოროშკინა

— ქალბატონო ლალი, გურიაში სტიქიამ ბევრი ოჯახი დააზარალა. როგორც ვიცი, თქვენი სახლის სახურავიც ჩატყდა. რა ვითარებაა ამჟამად, თუ შეძელით რამის გადარჩენა?

— დიახ, ჩემი სახლიც დაინგრა. სამწუხაროდ, არაფერი გადარჩა. ეს გასაგებიცაა — სუფსის სახლი ჩემთვის აგარაკივით იყო, იქ არ ვცხოვრობდი და ვერც ვერავის ვთხოვე, მიეხედა. მიუხედავად იმისა, რომ არაჩვეულებრივი მეზობლები მყავს, ყველასთან ვმეგობრობ, მათ თავიანთი გასაჭირი ჰქონდათ. ასეთ დროს ყველაზე რთული ის არის, რომ ადგილზე ჩასვლას ვერ ვახერხებ, რათა საკუთარი თვალით ვნახო, რა ზარალი მომადგა. ერთადერთი, რაც მეზობლებს ვთხოვე, ის არის, რომ სახლში შესულიყვნენ და ზურა გომელაურის ნახატი გადაერჩინათ. მის შემოქმედებას ძალიან ვაფასებ — ეს ნახატი სულს მინათებდა. ამ ვითარებას ცოტა ფილოსოფიურად ვუდგები — ალბათ, რაღაც პირადი განსაცდელი, რაც საკუთარ თავზე პირადად უნდა გადამეტანა, ამ სახლმა იტვირთა. სხვათა შორის, მსგავსი რაღაცები ხშირად მემართება. 2014 წელს, გურიაში ჩემს მანქანას მეხი დაეცა. თითქოს მივეჩვიე მუდმივად ფათერაკებში ყოფნას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ არ უნდა გაბოროტდე, არ გაბრაზდე, სიძულვილი არ ანთხიო და ყველაფერი დალაგდება. მთავარია, მსხვერპლი არ იყოს, დანარჩენს ყველაფერს ეშველება, სახლიც აშენდება და მანქანაც გაკეთდება.

აქვე უნდა აღინიშნოს მთავრობის არნახული, დროული ჩართულობა შექმნილ მძიმე ვითარებაში. ვინც მხოლოდ ოპოზიციურ არხებს უყურებს და ისე აღიქვამს რეალობას, ეს სერიოზული მენტალური პრობლემაა. პირადად ვიცი, როგორი ჩართულობა იყო ხელისუფლების მხრიდან სტიქიის პირველივე წუთიდან. გამგებლიდან დაწყებული, არ დარჩენილა სტრუქტურა, რომელიც პროცესში არ ჩართულა. გამგებელი დათო გუმბარიძე საოცარი ადამიანია. იგი ყველა ოჯახში პირადად დადიოდა, ზოგთან პური მიჰქონდა, ზოგთან მედიკამენტები. როგორც ჩანს, შოვის ტრაგედიამ ბევრი რამ გვასწავლა, რომელიც, სამწუხაროდ, დიდი მსხვერპლით დასრულდა.

ამ სტიქიასაც შეიძლებოდა გაცილებით მეტი მსხვერპლი და უბედურება მოჰყოლოდა, მაგრამ დროულმა მზადყოფნამ, მათ შორის, ტექნიკის, დიდი მსხვერპლი თავიდან აგვარიდა. სამედიცინო დახმარების მანქანებისთვის სპეციალური ბორბლებიც კი ჰქონდათ შეძენილი. ვფიქრობ, სახელმწიფომ მაქსიმალური გააკეთა, მსოფლიოში ამაზე კარგ შედეგს ვერავინ დადებდა, ეს ღრმად მწამს. სხვა ქვეყნებშიც მინახავს სტიქია, მაგრამ ასეთი თავგანწირვა — არსად. აქ უბნის უფროსებიდან დაწყებული, ყველა ჩართული იყო თოვლის გამწმენდ სამუშაოებსა თუ ოჯახებისთვის პროდუქტების მიტანაში, ამერიკაში კი ასეთ დროს პირველი ხელმძღვანელობა იმალება.

ვფიქრობ, ქართველებმა მაგალითი ვაჩვენეთ, რას ნიშნავს ერთობა და თავგანწირვა. უპირველესად, ეს სწორედ შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებმა აჩვენეს — ადგილობრივმა მუნიციპალურმა სამსახურებმა დროული რეაგირება მოახდინეს, მეორე ეტაპზე სამაშველო სამსახურიც ჩაერთო. ყველამ საოცარი თავგანწირვით იმუშავა. მინდა, მადლობა ყველას სათითაოდ გადავუხადო იმისთვის, რომ მოსახლეობა გასაჭირში არ მიატოვეს. სადაც მანქანით ვერ მივიდნენ, ამ ყინვაში ფეხით მიდიოდნენ, სტიქიას არ ეპუებოდნენ. ვფიქრობ, საქართველოში საკმაოდ ჯანსაღი პროცესი მიდის. თუმცა, არსებობს ადამიანების კატეგორია, 0,5%, რომლებიც სვავებივით მხოლოდ ნეგატივით იკვებებიან. ამ ხალხზე საუბარი არც მინდა, ისინი ჩემთვის არც არსებობენ. მათი ადგილი ჩემს ცხოვრებაში არ არის.

— რაც შეეხება მედიას, პარლამენტმა ბრიტანული კანონმდებლობის მსგავსი კანონი დააინიცირა. რას შეცვლის ის ქართულ მედიასივრცეში?

— როცა სტუდენტებს ლექციებს ვუკითხავ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები მომყავს, სადაც მნიშვნელოვანია, რომ ეთიკის ნორმები დაცული იყოს. მედიის რიგი კანონმდებლობა მათ პირდაპირ ავალდებულებს: მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მიკროფონით არ მიეჭრას, ასევე, არ გააშუქოს დაჭრილი ან გარდაცვლილი ადამიანის სისხლიანი კადრები. ძალიან ბევრი პუნქტია, რასაც ქართული ოპოზიციური მედია მუდმივად არღვევს. ჩვენ რეალურად, მედია კი არა, სადამსჯელო რაზმი გვყავს. ჩემი აზრით, ბრიტანული კანონმდებლობა ჩვენი მედიისთვის მაინც მსუბუქია, უფრო სერიოზული სტანდარტების გამოყენება, ახლის შექმნაც შეიძლებოდა. მესმის, რომ ახალ ველოსიპედს არ ვიგონებთ და რაც უკვე შექმნილია და უფრო მარტივად მოერგება კანონმდებლობას, ის გადმოგვაქვს.

თუმცა, ჩვენ კავკასია ვართ, მდებარეობიდან გამომდინარე, ცხელ წერტილებთან ახლოს ვართ, ქვეყანაში, ბოლო ორი წელი, პრაქტიკულად, საომარი ვითარებაა. საომარ ვითარებაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, თუ რა კადრები, რა ინფორმაცია გადის პრესით ან ტელევიზიით. მე მუშაობა მომიწია იმ პერიოდში, როცა აფხაზეთში ომი მძვინვარებდა. ერთი არაზუსტი ინფორმაციაც რომ გაგვეშუქებინა, შეიძლებოდა, ერთი საჯარისო რაზმი მთლიანად განადგურებულიყო. რატომ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ აფხაზეთი, სამაჩაბლო თვალ-ყურს გვადევნებს და როგორ მოუნდებათ ჩვენს გვერდით ყოფნა, როცა გარშემო ყველაფერს ვანადგურებთ. ჩვენი მედია ჭირისუფლების ფატვრაზეა გადასული. მათ ქმედებას სხვას ვერაფერს ვუწოდებ. სასამართლო პროცესებზე როგორც იქცევა ჩვენი მედია, ამაზე აღარაფერს ვამბობ. ამერიკაში სასამართლო პროცესზე ფოტოსაც არავინ გადაგაღებინებს. ადამიანს შვილი ჰყავს ხუთი წუთის გარდაცვლილი, ჟურნალისტები მირბიან და ჭირისუფალს ინტერვიუს სთხოვენ. შემდეგ შვილმკვდარი ადამიანი რომ გაგიჟდება და აგრესიას გამოხატავს, უტეხად პასუხობენ: ჟურნალისტები ვართ და ყველაფრის უფლება გვაქვსო. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჟურნალისტიკის ეთიკის ნორმები უფრო მკაცრი უნდა იყოს. ის, რომ პირად ცხოვრებაში ერევიან, ნებისმიერ ინფორმაციას გადაუმოწმებლად უშვებენ, რისი მსხვერპლიც პირადადაც არაერთხელ ვყოფილვარ, უნდა დასრულდეს. ცილისწამებას რომ აჟღერებენ, იმ ადამიანს ხომ ქმარი, შვილები ჰყავს, რომლებიც ამ სიცრუეზე მწვავედ რეაგირებენ. ჩვენი ოპოზიციური მედია გადაუმოწმებელი ფაქტების მექაა. ოპოზიციური მედია ძალიან ცუდ საქმეს აკეთებს, ამიტომ რეგულაციები აუცილებელია.

— ცილისწამება ისევ დასჯადი ხომ არ უნდა გახდეს?

— ცილისწამების მუხლთან დაკავშირებით ბევრი მითქმა-მოთქმაა. კანონმდებლობაში სხვა მუხლებიც არსებობს, ადამიანისთვის ავტორიტეტის, იმიჯის შელახვის კუთხით, რაც შეიძლება გასაჩივრდეს, მაგრამ ადამიანები ამას არ აკეთებენ, რადგან იციან, სასამართლო წლობით გაგრძელდება. დიახ, სასამართლოში საქმეები წლობით იწელება. სანამ ასე იქნება, არაფერი გვეშველება. ეს საკითხიც როგორმე უნდა დარეგულირდეს. ვთქვათ, სასამართლოში შევიტანე სარჩელი იმის თაობაზე, რომ ჟურნალისტმა იმიჯი შემილახა და რეპუტაციული ზიანი მომაყენა. ეს საქმე სასამართლოში შეიძლება ხუთი-ათი წელი გაგრძელდეს. ამას რა აზრი აქვს. ამიტომ ეს ყველაფერი უნდა დარეგულირდეს და ერთიან ქეისში მოექცეს. არ შეიძლება, ცილი დაგწამონ და სასამართლოდან პასუხს წლობით ელოდო. ამ კუთხით ევროპა გაცილებით ხისტია — გამორიცხულია, საინფორმაციო გამოშვებაში სკანდალური ან მძიმე, სისხლიანი კადრები გავიდეს. იქ ამ ყველაფერს კანონები არეგულირებს. ჩვენთან ეს საკითხი ძალიან მიშვებულია, რის გამოსწორებასაც წლები დასჭირდება.

— მდინარაძემ განაცხადა, მედიის კანონს იმიტომ ვიღებთ, რომ მოქალაქეები სიცრუისგან დავიცვათო. სხვათა შორის, ოპოზიციურ არხებზე რესპონდენტებიც არანაკლებს სცოდავენ. ერთმა „ექსპერტმა“ განაცხადა, ხელისუფლება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ტერიტორიებად ცნობას აპირებსო. ეს დასჯადი არ უნდა იყოს?

— ეს კლოუნადა, რაც ოპოზიციურ არხებზეა გამართული, ცალკე საკითხია. ნორმალურ ადამიანს ამ არხებთან შემხებლობა საერთოდ არ უნდა ჰქონდეს. იმედი მაქვს, კანონი ამ ყველაფერს ისე დაარეგულირებს, რომ ეს არხები მაუწყებლობიდან საერთოდ გაქრება. მათ მედიასთან საერთო არაფერი აქვთ, ეს კერძო ბიზნესი და ინტერესებია. ისინი ზონდერები არიან, რომლებიც მედიის სახელს არიან ამოფარებულნი. მედიის ნახევარი, ჩვენი კოლეგები კი არა, ზონდერები არიან, ისევე, როგორც სააკაშვილის დროს იყვნენ და ახლა ზონდერობას ამ ფორმით განაგრძობენ. როგორც ნიურნბერგის პროცესის დროს ყველას დასჯა ვერ მოხერხდა და მერე ზოგმა სად ამოყო თავი და ზოგმა — სად, ესეც ზუსტად იგივე პროცესია. მომხრე ვარ, ყველა დაისაჯოს.

— მთავარი, რასაც ეს კანონმდებლობა ითვალისწინებს, უცხოური წყაროებიდან მედიის დაფინანსება შეიზღუდება. ევროკავშირმა წელს 120 მილიონი ევრო გამოყო მედიისა და სამოქალაქო სექტორისთვის...

— მე გამჭვირვალობის მომხრე ვარ. მედია ყოველთვის დოტაციაზეა, რადგან ის ვერ გამოიმუშავებს იმდენ თანხას, რომ თუნდაც რეკლამიდან შემოსული ფინანსები ყველა თანამშრომლის ხელფასს და ტექნიკის შენახვას ეყოს. შესაბამისად, ყველას თავისი მერკანტილური ინტერესები აქვს. მედიასაშუალებასაც იმისთვის ფლობს, რომ იქ თავისი ინტერესები გაატაროს. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს. მნიშვნელოვანია საზოგადოებამ იცოდეს, ვინ რა მუსიკის დაკვეთაში იხდის ფულს.

— მედიის კანონში შესული ცვლილებების თანახმად, კომუნიკაციის მარეგულირებელ კომისიას უფლებები ეზრდება. მას შეუძლია კონკრეტული ტელევიზია დააჯარიმოს თუნდაც იმისთვის, რომ ჟურნალისტმა ინტერვიუ შეუთანხმებლად აიღო, ფარული კადრები გადაიღო და ა. შ., რასაც ოპოზიციური არხები აპროტესტებენ.

— რა არის ამაში გასაპროტესტებელი. დავაკვირდეთ, როცა რომელიმე კომპანიაში რეკავ, საქმის კურსში გაყენებენ და გეუბნებიან, რომ მონიტორინგის მიზნით, საუბარი იწერება. არ შეიძლება ადამიანი გაუფრთხილებლად ფაქტის წინაშე დააყენო. ასე რომ, ეს პროცესი ძალიან სწორად არის დაწყებული. სხვათა შორის, ევროპაში, ასე ძალიან რომ უყვართ, ჟურნალისტიკის ეთიკის ნორმები არ ირღვევა.

— კანონმდებლობაში ბალანსის დაცვაზეც არის ყურადღება გამახვილებული...

— ეს საკმაოდ რთული პროცესი იქნება, რადგან განსხვავებული აზრის ადამიანები ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებულნი. მიჭირს წარმოვიდგინო, როგორ დალაგდება ის ყველაფერი, რაც წლების განმავლობაში ფუჭდებოდა. პრაქტიკულად, ადამიანებმა ერთმანეთი დაკარგეს. ვერ წარმომიდგენია, ასეთი დიდი პაუზის მერე, როგორ უნდა მივიდე თუნდაც იმ არხებზე და გვერდით მივუჯდე იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემს დაჭერას

9 გვ. →

დოლარის პირამიდის დანგრევა გარდაუვალია...

5 გვ.

ლარიანი კუპიურა აშშ-ს 0,3 ცენტი უჯდება...

ამ საუბრის შემდეგ დე გოლმა ფრანგებს მოუწოდა, რომ დოლარები ფრანკებზე გადაეცვალათ. პატრიოტმა ფრანგებმა დაუჯერეს პრეზიდენტს. დე გოლმა შეგროვებული დოლარები აშშ-ში გადააგზავნა და თავისი ოფიციალური ვიზიტის მსვლელობისას მოითხოვა, რომ ოქროზე გადაეცვალათ, რომლითაც დოლარი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

მსოფლიო სკანდალისთვის რომ თავი აერიდებინათ, აშშ იძულებული გახდა, ოქროთი გადაეხადა, მაგრამ ამის შემდეგ მიიღეს კანონი, რომ აშშ-ის საზღვრებსგარეთ ბრუნვაში არსებული დოლარის კუპიურების ოქროთი უზრუნველყოფა არ მოხდებოდა, ანუ, ფაქტობრივად, ოფიციალურად დააფიქსირეს, რომ დოლარი მხოლოდ საეჭვო და სადავო სიმბოლიკებით გაფორმებული მწვანე ქაღალდია...

შარლ დე გოლის პრეზიდენტობა სამშობლოს სიყვარულმა შეიწირა, აშშ რომ მას ოქროს ართმევას არ აპატიებდა, ცხადი იყო. ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ქვეყნებსაც არ მიებაძათ მისთვის, მაგრამ ყველას ერთად რომ ამოეღო ხმა და სიტყვა საქმედ ექციათ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. საერთო პირი არ შეიკრა, არ აღმოჩნდნენ სხვა ქვეყნებში პატრიოტი მმართველები...

აშშ-მა საქმეში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო („ცრუ“) ჩართო, უხვად დააფინანსეს არასამთავრობო ორგანიზაციები და საპროტესტო გამოსვლების ტალღა აუგორეს სამშობლოს პატრიოტ დე გოლს. შეურაცხყოფილი და ხალხის უმადურობისგან გულნატკენი დე გოლი უსიტყვოდ გადადგა. მომდევნო პრეზიდენტებს აზრად აღარ მოსვლიათ, აშშ-ისთვის ურჩობა გაებედათ...

ცხონებული ზვიად გამსახურდიას სიტყვები გამახსენდა, როდესაც შეკითხვაზე: რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა? 1992 წელს, ჩეჩნეთში ლტოლვილობისას უპასუხა: „ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლეთის დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო. დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის მოსვლისა (იგულისხმება შევარდნაძე). მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენ მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა, სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთოევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში - მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე. წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიო წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.“



რატომ თანხმდებიან მსოფლიო ქვეყნები მწვანე ქაღალდების მიღებას, როგორც ვალუტისას და ქაღალდში რატომ ცვლიან ეროვნულ სიმდიდრეებს? — ეს იმდენად მოცულობით პასუხს მოიცავს, რომ შეუძლებელია მისი მოკლედ ახნა, თუმცა უმოკლესი პასუხის გაცემა შესაძლებელია, — იმიტომ, რომ მის გავლენებზე დამოკიდებულ მსოფლიოს ქვეყნების ლაჩარ და მომხვეჭელ მმართველებს არ აქვთ საკუთარი ქვეყნებისადმი მშობლიური სიყვარული, შესაბამისად, ერთიანი პირი არ აქვთ; სურთ, რომ იყვნენ გაბრიყვებულ მდგომარეობაში და ეთაყვანებოდნენ 0,3-ცენტიან ქაღალდს...

დოლარის საპირწონედ ევროპამ ევრო შექმნა, რომელიც „მუშაობს“, მაგრამ ჩინელები იუანის დამკვიდრებაზე მუშაობენ, არაბები — ოქროს დინარისაზე, რუსეთმა სულაც რუბლები მოითხოვა უკრაინაში შეჭრის შემდეგ და რას იზამს აშშ მშვიდობისმყვარე ტრამპის პრეზიდენტობის ვადაში, საინტერესოა.

საქმე ის არის, რომ ამ ქაღალდს ამყარებს აშშ-ის სამხედრო ძალა, — როგორცკი რომელიმე ქვეყნის ხელისუფლებაზე ეჭვს აიღებენ, რომ საკუთარი ქვეყნის აშშ-ის სანედლეულო დანამატის როლს ალმაცერად დაუწყეს ყურება და საკუთარი ქვეყნის სამსახურში აპირებენ სრულად ჩადგომას, „მეხუთე კოლონა“ თუ მიზეზთა გამო არ ჭრის, სამხედრო ძალას ქოქავენ და მათი რესურსები „ოქროს მილიარდის“ სასარგებლოდ ლაგდება.

რა თქმა უნდა, ისეთი დიდი ომები, რომლებიც მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილს გამოფიტავს, აშშ-ის კონტინენტის გადაღმა უნდა მოხდეს. შემდეგ იქ მივლენ „კეთილისმყოფელი ამერიკელები“ მწვანედ შეფერილი თავიანთი ქაღალდებით და აივსებიან მატერიალური დოვლათით.

ცხონებულმა ოთარმა მკითხა, საბჭოთა კავშირი რომ დაიშლებოდა, წარმოგედგინაო? უდიდესი იმპერიები გაქრა და ამ ლოგიკით ეგეც წარმოდგენილი მქონდა, მაგრამ მე თუ მოვესწრებოდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი-მეთქი. ჰოდა, ასეა დოლარის ამბავიც, — დოლარის პირამიდის დანგრევა გარდაუვალია, მაგრამ ყველანაირად ცდილობენ, რომ გადაავადონ რენტაბელური სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამუშავება ვირტუალური ბაზრისა და ჰაერის გაყიდვის სანაცვლოდო.

საკმარისია, ჩინეთმა და რუსეთმა ბაზარზე დაყარონ თავიანთი დოლარის მარაგები და დოლარი ყველასთვის გამოუსადეგარი ქაღალდი გახდება, — ეს მე თუ ვიცი, მათ ჩემზე უკეთ იციან და, საინტერესოა, რას ელოდება ორი ძლიერი ქვეყნის თვალმოწკურული ლიდერი?

კიდევ ერთი რამ მაიტერესებს: ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროს მითხრა დავით იაკობიძემ, ერთ დღეს ჩინეთი რომ გადაირიოს და მოითხოვოს თავისი კაპიტალი, რომელიც აშშ-ში აქვს დაბანდებული, აშშ-ის ეკონომიკა ისე ჩამოშლება, რაღა აწყობს, ვერ გეტყვითო. რა მოყვება დოლარის კრახს, უკვე ვარიანტები და სხვა საკითხია.

შესაძლოა, არის, მაგრამ არ მახსენდება ისეთი შემთხვევა, რომ აშშ ვინმეს გაებითურებინოს, თან ისე, რომ ბოღმა ჩაეყლაპოს, — ეს იყო, სტალინი, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას პირნათლად ასრულებდა და არასდროს არღვევდა მანამ, სანამ სხვა მხარე არ დაარღვევდა.

მაშ, ასე, რატომ არ გადაუხადა სტალინმა აშშ-ს „ლენდ-ლიზის“ ვალი?!.

ისტორიის დოქტორი **მაგდალენა აპენსი**: „საბჭოთა კავშირს უამრავი საერთაშორისო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული და არცერთ მათგანს არ ჰქონდა სტალინის ხელმოწერა. თუმცა, თითოეული მათგანი საბჭოთა ბელადის უმკაცრესი კონტროლის ქვეშ იყო და მათ შესრულებას პირადად ადევნებდა ხოლმე თვალ-ყურს. ნიშანდობლივია ის, რომ სტალინი მაქსიმალურად ცდილობდა ყველა ხელშეკრულების შენარჩუნებას (განსაკუთრებით დიდ სამამულო ომამდე). ასე იყო მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შემთხვევაშიც, თუმცა ჰიტლერმა პირველმა დაარღვია ის და რაც მიიღო, საყოველთაოდაა ცნობილი.

ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო ხელშეკრულება იყო ეგრეთ წოდებული „ლენდ-ლიზი“, ანუ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარება საბჭოეთისთვის მეორე მსოფლიო ომში.



ამ პროგრამის მიხედვით, დადებული ხელშეკრულების ვალდებულებებს სტალინი დიდ პატივს სცემდა და „დიდი სამეულის“ — თეირანის, იალტისა და პოტსდამის შეხვედრებზეც ხაზგასმით აღინიშნა.

„ლენდ-ლიზის“ მიხედვით, მშვიდობიან პერიოდში საბჭოეთს ეტაპობრივად უნდა გადაეხადა დახმარების პროგრამის ვალი. იქ იყო ერთი პუნქტიც, რომლის მიხედვითაც, შეთანხმებული გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, ან გამწვავებული პოლიტიკური სიტუაციისას მევალეს (საბჭოთა კავშირს) მთელი ვალი ერთბაშად უნდა დაეფარა... “

ამერიკელი პოლიტეკონომისტი **ჰიუ კოგანი**: „პროგრამა „ლენდ-ლიზი“ ამერიკული მთავრობის ხელში უმძლავრესი პოლიტიკური ზეწოლის იარაღი იყო და შეეძლოთ ნებისმიერი პარტნიორი დაეჩოქებინათ. მხოლოდ არა სტალინი და ეს რეალურადაც კარგად გამოჩნდა...“

„პარტნიორის დაჩოქებაში“ კოგანი გულისხმობს ხელშეკრულების იმ პუნქტს, სადაც ერთბაშად გადახდაზეა ლაპარაკი.

კოგანი განმარტავს: „ამერიკის მთავრობას ნებისმიერ მომენტში შეეძლო, გაემწვავებინა ურთიერთობა ნებისმიერ პარტნიორთან და ვალის მთლიანი გადახდა მოეთხოვა. მით უმეტეს, იოლი იყო ამის გაკეთება საბჭოეთთან. მაგრამ სტალინმა ამერიკის მთავრობას უფლება არ მისცა, რომ „ლენდ-ლიზი“ პოლიტიკური ზეწოლის იარაღად გამოეყენებინა და ტრუმენს ვალის გადახდაზე პირდაპირ უარი სტკიცა...“

საბჭოთა კავშირს 14 მლრდ 300 მლნ დოლარი ჰქონდა ვალი და როდესაც ომი დამთავრდა, ეს დახმარება უკვე სოციალური ხასიათის გახდა.

ჩერჩილის მიერ „ცივი ომის“ გამოცხადების შემდეგ, რასაც აშშ-მაც დაუჭირა მხარი, პოლიტიკური ურთიერთობა კი დაიძაბა, მაგრამ აშშ მაინც განაგრძობდა სსრკ-ის დახმარებას.

ვიაჩესლავ მოლოტოვი: „ჩერჩილის მიერ ფულტონში წარმოთქმული ცნობილი სიტყვის მერე, რითაც „ცივი ომი“ დაიწყო, შეერთებული შტატები კვლავ გვეხმარებოდა, თუმცა სტალინს მიაჩნდა, რომ მათ (ამერიკის შეერთებულ შტატებს) რაღაც კომბინაცია ჰქონდათ ჩაფიქრებული და არც შემცდარა. 1947 წელს შეერთებულ შტატებში ჩავედი და ტრუმენს შევხვდი. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დიდი პატივით მიმიღო. თავის ოვალურ კაბინეტში ექვსი საათის განმავლობაში მესაუბრა და ბოლოს მითხრა:

— ბატონ სტალინს გადაეცით, რომ ჩვენმა მთავრობამ „მარშლის გეგმა“ შეიმუშავა, რომელიც მეორე მსოფლიო ომისგან დანგრეული ევროპული ქვეყნების აღდგენას ითვალისწინებს. მათ სიაში ხართ თქვენც და მხოლოდ ბატონი სტალინის ნებართვაა საჭირო მის ასამოქმედებლადო.

„მარშლის გეგმა“ მოგვიანებით, 1947 წლის 5 ივნისს, ევროპული ქვეყნების კონფერენციაზე გაცხადდა, ტრუმენმა კი ის დიდი ხნით ადრე, იანვარში გამატანა სტალინთან შესათანხმებლად, თუმცა, გაეცნო რა მას, სტალინმა შეერთებული შტატების პრეზიდენტს უარი შეუთვალა.

ამ გეგმის მიხედვით, ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალი სოციალისტურ ევროპაში (სოციალისტური ევროპა ის მოგვიანებით გახდა, მაგრამ სტალინს უკვე ჰქონდა მისი გაწითლების გეგმა) შემოდიოდა და არა მარტო იქ, არამედ საბჭოთა კავშირშიც, ეს იმას ნიშნავდა, რომ შეერთებული შტატები თავისი კაპიტალის მეშვეობით მთელ მსოფლიოში დომინანტი გახდებოდა, საბჭოთა კავშირი კი გვერდზე რჩებოდა. სტალინი, რა თქმა უნდა, არ მოტყუვდა და ტრუმენს ზრდილობიანი უარი შეუთვალა...“

გაწბილებული ჰარი ტრუმენი, ცხადია, სტალინის ჩიხში მიმწყვდევის გზებს ეძებდა, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, გადაწყვიტა, ლენდ-ლიზის პუნქტი აემოქმედებინა და სტალინს ვალის ერთბაშად გადახდა მოსთხოვა, ვადაც დაუთქვა, — 1947 წლის ბოლომდე გადაიხადეო.

სტალინის მიერ კოლეგისადმი მიწერილი წერილი სახელმწიფო დეპარტამენტის არქივშია დაცული: „მოგახსენებთ, რომ საბჭოთა კავშირს არცერთი ქვეყნის წინაშე არანაირი ფინანსური ვალი არ გააჩნია. ჩვენ ჩვენი ვალი კაცობრიობის წინაშე ჰიტლერთან ბრძოლაში მოვიხადეთ და ეს 20 მილიონი ადამიანის სიცოცხლეში გამოიხატა. სტალინი.“

ხელმეორედ გაწბილებული ტრუმენი რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა, ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ რა ექნა, ესეც გადაყლაპა.

ესეც დოლარი, აშშ, „დამპალი საბჭოთა კავშირი“ და „კაციჭამია სტალინი“!..

ნინო დაუშვილი

„დაქოქილი“ ზელენსკი პროლეტარივით იქცეოდა

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე

— ბატონო დიმიტრი, ტრამპთან შეხვედრა ზელენსკისა და უკრაინული დიპლომატიის სრულ ფიასკოდ შეფასდა. ტრამპმა აღნიშნა, რომ უკრაინის პრეზიდენტმა აშშ-ის მიმართ უპატივცემულობა გამოხატა, თანაც, ოვალურ კაბინეტში. კობახიძის შეფასებით კი, ამ დღემ ომისა და მშვიდობის პარტიას შორის ზღვარი კიდევ ერთხელ გაავლო.

— მსოფლიო საინტერესო პროცესების მონაწილე გახდა. ამ შეხვედრით ნათლად გაეცა პასუხი შეკითხვას, რა არის დიფ სთეითი. ჩვენი ოპოზიცია ხშირად მიმართავდა სპეკულაციას და ხელისუფლებას ეკითხებოდა, ვის გულისხმობდა „დიფსთეითში“. მერე რიხით ამბობდნენ, შეკითხვის ადრესატი კონკრეტულ პირს ვერ ასახელებსო. არც დასახელდებოდა, რადგან აქ საუბარი ერთ პიროვნებაზე არაა. საუბარი იმ დიდ სახელმწიფოთაშორის კონგლომერატზეა, რომელიც საკუთარი კეთილდღეობის სანაცვლოდ, ომის მომხრეა. მათთვის ომი ერთადერთი საშუალებაა ჰარტლენდის დასაუფლებლად, რისთვისაც ისინი ძალას არ ზოგავენ, რომ ახლო აღმოსავლეთში, უკრაინასა თუ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ცეცხლი გააჩაღონ. მათი საბოლოო მიზანი რუსეთის დაქუცმაცება, სოციალური პრობლემების შექმნით მისი სუბიექტებად დაშლა და ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრაა. ეს იგივე ომის გზაა.

ტრამპთან გამართული არაორდინარული დიალოგი საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს სცდება. ამ შეხვედრამ ლაკმუსის როლი შეასრულა. არ შეიძლება ტრამპის მიმართ აღფრთოვანება არ გამოვხატოთ. მან ზელენსკის გამოხდომებზე მაქსიმალური თავშეკავება, დიპლომატიურობა გამოიჩინა. ზელენსკის ქცევა სპონტანური კი არა, არამედ ეს იმ ძალების მიერ იყო ინსპირირებული, ვისთანაც იგი ვიზიტის სამარცხვინოდ დასრულების შემდეგ გაემართა. ფაქტობრივად, ზელენსკი ტრამპის რეზიდენციიდან გამოაგდეს. მან შეურაცხყოფა მიაყენა ამერიკას, ამერიკელ ხალხს, რომელთაგანაც მუდმივად იკვებება და ათეულობით მილიარდი დოლარი აქვს მიღებული. ნაცვლად იმისა, რომ უკრაინის პრეზიდენტს საუბარი მადლიერების გამოხატვით დაეწყო, რითაც შემდგომში პოლიტიკურად ახალი დივიდენდი უნდა გამოევაჭრა, იგი თავიდანვე ომის პარტიის მხრიდან გახლდათ „დაქოქილი“. ზელენსკი შეხვედრაზე პროლეტარივით იქცეოდა. ვგულისხმობ სუბიექტს, რომელიც, ბორკილების გარდა, აღარაფერს კარგავს და შედეგად, ვა-ბანკზე წავიდა. რუბიოს შეფასებაც, რომ ზელენსკიმ სერიოზული ფიასკო განიცადა, სრულიად სამართლიანი იყო. ვენსმა მას პირდაპირ უთხრა, რომ თავისი პოზიციით აშშ-ს შეურაცხყოფას აყენებდა და ვალდებული იყო, თავი მოეთოკა.

ზელენსკიმ ტრამპს უტიფრად განუცხადა: თქვენ გარს ლამაზი ოკეანე გაკრავთ და ფიქრობთ, რომ ის განსაცდელი, რაც ჩვენ თავს დაგვატყდა, არ გეხებათ, მაგრამ ეს პრობლემები თქვენამდეც მოვაო. მსგავსი რამ არათუ დიპლომატიაში არ ჯდება, არამედ პირდაპირ მტრულ განწყობაზე მიუთითებს. აქედან გამოდის, ზელენსკი ამერიკაში მხოლოდ იმიტომ ჩავიდა, რომ თოკი გაეწყვიტა, ურთიერთობისთვის წერტილი დაესვა და იმ პატრონების იმედად დარჩენილიყო, რომლებიც მას აქეზებენ. სტარმერის აშშ-ში ვიზიტი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა სურთ. ტრამპმა სტარმერს ბრიფინგზე პირდაპირ უთხრა: თქვენი, როგორც ხისტი მომლაპარაკებლის პოზიცია, ჩემთვის მიუღებელია. პატივს ვცემ თქვენს უნარს და შესაძლებლობას, საკუთარი ქვეყნის ინტერესები დაიცვათო. აქვე ტრამპმა მეფე ჩარლზისგან მიწვევა მადლიერებით მიიღო.

— თქვენ ახსენეთ, რომ ვაშინგტონიდან ზელენსკი პირდაპირ „პატრონთან“ გაემგზავრა. რა როლი აქვს ამ ყველაფერში დიდ ბრიტანეთს?

— ბრიტანეთი ამ შემთხვევაში ევროკავშირის კრებსითი სახე არ არის, არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით. ის ევროკავშირში ყოფნის პერიოდშიც თავის განსაკუთრებულ პოლიტიკას ატარებდა, რომელიც მისი ყველაზე სერიოზული კონკურენტის — გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული. რუსი პოლიტოლოგები შემთხვევით როდი უსვამენ ხაზს შემდეგ ფაქტს: უკრაინის კრიზისი, რომლის უკანაც გლობალური ომის პარტია დგას, სწორედ ბრიტანეთის მიერ არის ინსპირირებული გერმანიის წინააღმდეგ, ევროპის დასუსტების მიზნით და საკუთარი დომინაციის გაზრდის მოტივაციით. ბრიტანეთის იმპერია კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ცბიერი და სისხლისმსმელია. გავიხსენოთ მის მიერ დატრიალებული სისხლის კალოები აფრიკის კონტინენტზე და ინდოეთში. მრავალმილიონიანი მსხვერპლის ფონზე, ბრიტანეთი ჰუმანიზმისა და დემოკრატიის განვითარების დამკვიდრებით თავს ნამდვილად ვერ მოიწონებს. ბრიტანეთს საკმაოდ ნეგატიური როლი მიუძღვის საქართველოს უახლეს ისტორიაშიც. დიდი ბრიტანეთის ნეგატიურ როლზე საქართველოსთან მიმართებით, სამწუხაროდ, ყურადღება არც საბჭოთა კავშირის, არც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში და არც მერე, არ გამახვილებულა. დიახ, ბრიტანეთის იდეოლოგიური გავლენა მთელ მსოფლიოზე, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლებებზეც, ძალიან დიდია.

ბედმა გაგვიღიმა, რომ დღეს გვყავს ხელისუფლება, რომელიც ბრიტანული ძალების გავლენის ქვეშ არ არის. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი ხელისუფლება ბრიტანეთის მსახვრალი ხელის ინტერესების აღმსრულებელი არ არის. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ ვართ იქ, სადაც ბალტიის ქვეყნებია. ისინი 100%-ით ბრიტანეთს არიან დაქვემდებარებული, მისი ჯარისკაცები არიან. მათ შორის, უკანასკნელი ლიეტუველი, ლატვიელი და ესტონელი რომ დარჩეს, ბოლომდე ბრიტანეთის ერთგულები დარჩებიან. შემთხვევითი არ არის, რომ ევროკავშირის საგარეო მიმართულების მთავარი კურატორი კაია კალასი, რომელიც ესტონეთის უმაღლესი თანამდებობის პირი გახლდათ, უკრაინის მიმართ მძიმე საომარი, კონფლიქტის მხარდამჭერი რიტორიკით გამოირჩევა. ის, რომ ევროკავშირი აცხადებს, მზად ვართ, უკრაინაში ხანგრძლივი მშვიდობა შევინარჩუნოთო, სხვა არაფერია, თუ არა ომის გაგრძელების პირდაპირი დაკვეთა უკრაინის მარიონეტი ხელისუფლების და საერთაშორისო დამნაშავის, საკუთარი ქვეყნის მოღალატისა და უკრაინელი ხალხის მკვლელის, ზელენსკის მიმართ.

შემთხვევითი არც ის არის, რომ ტრამპმა ზელენსკის „მაზოლზე“ დააბიჯა ფეხი, როდესაც დაღუპულ პირთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკა გამოაქვეყნა — ომმა უკვე 700 ათასი უკრაინელი და 900 ათასი რუსი შეიწირა. როცა ტრამპმა ეს სტატისტიკა გააჟღერა, ზელენსკის წარბიც არ შეხრია, არც ის უთქვამს, ეს საკამათო ციფრიაო. ზელენსკის ადმინისტრაცია დაღუპული უკრაინელების რაოდენობას მკაცრად ასაიდუმლოებდა, ტრამპმა კი პირდაპირ უთხრა:

სატელიტიდან კარგად ვხედავთ დაღუპულ ჯარისკაცებს და მათ რაოდენობასაც ვითვლითო. ამით ტრამპმა ხაზი შემდეგ გარემოებას გაუსვა: უკრაინას აღარ ჰყავს გასაწვევი ჯარისკაცები, ამიტომ იძულებულია, ჯარში 18 წლის ბავშვები გაიწვიოს და ისინი საზარბაზნე ხორცად გაწიროსო. მან ასევე, აღნიშნა: მოწოდებული ვარ, ამ ომს წერტილი სწრაფად დავუსვა. ეს უნდა პუტინსაცო. აქვე, ზელენსკის ხაზგასმით უთხრა: თქვენ პუტინის მიმართ დიდი სიძულვილი გამოძრავებთ, ამიტომ შეუძლებელია იმ შეთანხმების მიღწევა, რასაც უკრაინელი ერი ასე ელისო. ეს ომი დიპლომატიამ უნდა შეაჩეროს. ვენსმაც აღნიშნა, რომ დიპლომატია ომის შეჩერების ერთადერთი გამოსავალი და ქმედითი ინსტრუმენტიაო.

აშშ-მ და რუსეთმა უკვე გამოთქვეს სურვილი, ომი რაც შეიძლება სწრაფად, მოლაპარაკების გზით დაასრულონ. მავანს აქვს პრეტენზია, თუ როგორ უნდა იმსჯელონ აშშ-მა და რუსეთმა უკრაინაში მშვიდობის დამყარებაზე მის გარეშე. ამ შეკითხვაზე პასუხს თავად ზელენსკის თავხედური მოქმედება იძლევა. ის პირები, ვისაც ომის დასრულება არ სურს, მოლაპარაკების მაგიდასთან არ დაიშვებიან. ტრამპის ინიციატივა ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და ამ პროცესში აშშ-ის განსაკუთრებული როლის შესახებ, ვფიქრობ, საყოველთაო აპლოდისმენტებს იმსახურებს. აქვე, აშშ-მა, პენტაგონმა და საგარეო დაზვერვამ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რუსეთის კიბერუსაფრთხოებას პრობლემა აღარ შეუქმნან და კიბერომის ფარგლებში გამოცხადებული ყველა პროგრამა შეაჩერონ.

— რაც შეეხება უკრაინაში არსებულ მინერალებს, რაზეც შეთანხმება ჩაიშალა, რა წიაღისეულს აძლევდა ზელენსკი ტრამპს, ამით მას პუტინის წინააღმდეგ ხომ არ განაწყობდა?

— აშშ-ის მიერ ამ იშვიათი მინერალების მოპოვების გარიგების უკან უნიკალური შანსი და შესაძლებლობა იყო უკრაინისთვის, რათა ამერიკის გლობალურ ინვესტორად შემოყვანის პროცესში მშვიდობა დამყარებულიყო, რაც მსგავს ინვესტიციებს მოჰყვება ხოლმე როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური შლეიფით. ამერიკა უკრაინაში შევიდოდა, როგორც გლობალური ინვესტორი, რაც უკრაინისთვის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტია იქნებოდა. ბუნებრივია, ეს ზელენსკისთვის ტესტი იყო. რა თქმა უნდა, ტრამპმა ზუსტად იცოდა, რომ ზელენსკი ამას არ დასთანხმდებოდა. 500 მილიარდი დოლარის ინვესტიცია უკრაინის მიწების ყიდვას კი არა, არამედ ტექნოლოგიების განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყნისთვის რეალური განვითარების პერსპექტივას ნიშნავდა, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

ტრამპმა ზუსტად იცის, ვინ დგას ზელენსკის უკან. ეს გახლავთ ბაიდენი, ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია... დააკვირდით, რა განცხადებები გააკეთეს ნორვეგიის, დანიის მაღალჩინოსნებმა. ეს ყოველივე ცხადყოფდა, რომ მარიონეტი თოჯინა — ზელენსკი ამ გარიგებას არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა. მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტს სჭირდებოდა, მსოფლიო ამ ფაქტის წინაშე დაეყენებინა. ტრამპმა ბრწყინვალედ შეძლო, თავის ოვალურ კაბინეტში ბოლომდე გაეშიშვლებინა არა ზელენსკი, არამედ გლობალური ომის პარტია და მისი რეალური სახე მთელ მსოფლიოს დაანახა.

კანონმდებლობის გამკაცრებით ჟურნალისტიკა თავის სტანდარტებს დაუბრუნდება

6 გვ.

დღეს გლობალური ომის პარტიის ერთ-ერთი ცბიერი ლიდერი სტარმერი გახლავთ. ულირსი სტუმარი ვაშინგტონიდან სწორედ მასთან, ლონდონში ჩაფრინდა, საჩივლელად, რომ თეთრი სახლიდან გამოაგდეს. ბრიტანეთის პრემიერმა დაამშვიდა: არა უშავს, ვოლოდიმირ, შენი ფუნქცია ჯერ ისევ გრძელდება. ჩვენ მზად ვართ, დამატებითი შეიარაღება მოგაწოდოთო.

შემთხვევითი არ გახლავთ, რომ ახლახან გერმანიამ უკრაინას ჯავშანტექნიკის სახით დახმარების ახალი პარტია გაუგზავნა. სამაგიეროდ, ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ ზელენსკისთვის, სამხედრო დახმარებაზე უარის თქმის საკითხს განიხილავს. აქამდე ამის საბაბი არ არსებობდა. კონგრესის მიერ დამტკიცებული სამხედრო ბიუჯეტი გაწერილი გეგმის მიხედვით მუშაობდა. დღეს ტრამპს ლეგიტიმური უფლება აქვს, განაცხადოს, რომ აშშ იმ სახელმწიფოს მხარდასაჭერად, რომელიც გლობალური ომის პარტიის ინსტრუმენტია და თავის ხალხს ანადგურებს, არცერთ ცენტს აღარ გადაიხდის. როცა დღეში ათასი ადამიანი გიკვდება, 18 წლის ბავშვები სასაკლაოზე მიგყავს და ამ დროს გეუბნებიან, რომ ომის შეჩერების შესაძლებლობა არსებობს, წესით, უნდა დათანხმდე, მაგრამ ზელენსკი საკუთარ თავს არ ეკუთვნის. მისი პატრონები ბოლომდე ეცდებიან, ზელენსკი გამოიყენონ, როგორც რაკეტა, რომელსაც გაუშვებ და სადღაც უნდა აფეთქდეს.

— საბოლოოდ რა ბედი ელის ზელენსკის?

— წარმოგიდგენიათ, როგორ შეიძლება დაასრულოს ჭიანჭველამ თავისი არსებობა სპილოს ფეხებთან, მით უმეტეს, ორი სპილოს ფეხებთან ერთად აღებული. ტრამპისა და პუტინის სამშვიდობო მოლაპარაკების ფონზე, ომის პარტიის სახე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება. ის სანქციები, რასაც აშშ რუსეთის წინააღმდეგ იყენებდა, სწორედ გლობალური ომის პარტიის ლიდერთა და იმ ადმინისტრაციების წინააღმდეგ მოტრიალდება, რომლებიც საკუთარი ქვეყნების ინტერესების საზიანოდ თავიანთ ეკონომიკას ანადგურებენ და ხვალინდელ დღეს საფრთხეს უქმნიან.

— ზელენსკი ოვალურ კაბინეტში პროტოკოლის დარღვევით გამოცხადდა. რა მიზანს ემსახურებოდა ეს?

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა. ტრამპმა ზელენსკის მოურიდებლად ჰკითხა: თქვენ კოსტიუმი გაქვთ? მან უპასუხა: დიახ. ამერიკელ ხალხს აინტერესებს, რატომ არღვევთ ეტიკეტს, — იკითხა, კვლავ აშშ-ის პრეზიდენტმა. ზელენსკიმ უტიფრად უპასუხა, რომ ომში მყოფი ქვეყნის წარმომადგენელია და ამ სტილს ყველგან უცვლელად იყენებს. არსებობს ეტიკეტი, რომელიც უნდა დაიცვა. მით უმეტეს, აშშ-ის პრეზიდენტის ოვალურ კაბინეტში, სადაც მაღალი რანგის შეხვედრაზე ტრამპი ეტიკეტის ყველა პირობის დაცვით არის გამოწყობილი, სტუმარიც ვალდებულია, ასევე მოიქცეს. ვფიქრობ, ზელენსკიმ ამ ფორმითაც დემარში გამოხატა. ამის ლოგიკური დასასრული ის იყო, რომ ბრიფინგი ჩაიშალა, რითაც შეხვედრის შედეგები ჯამდება. შემთხვევითი არ იყო, რომ უკრაინის ელჩს, რომელიც თავისი სამარცხვინო პრეზიდენტის მოქმედებებს უყურებდა, თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული და თვალს ვერავის უსწორებდა. იგი გრძნობდა, რომ დიპლომატიის ეტიკეტის უხეში დარღვევა მსოფლიო ჰეგემონი ქვეყნის პირველი პირის მიმართ აშკარა უპატივცემულობა, უტიფრობა, მთელ უკრაინას ძალიან ძვირი დაუჯდებოდა. ეს ქალბატონი საკუთარ ხელებში თავჩარგული, შერცხვენილი დიპლომატი გახლდათ. უკრაინის ელჩის სახე ოვალურ კაბინეტში, ზელენსკის ქმედებების ნათელი ილუსტრაცია იყო.

— როგორ ფიქრობთ, ჩვენმა ხელისუფლებამაც ხომ არ უნდა მიბაძოს ტრამპს, და რიგი ქვეყნების ელჩები ქვეყნიდან გააძევოს?

— საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა დიფ სთეითისა და გლობალური ომის პარტიის წინააღმდეგ, წინ უსწრებს ტრამპის გაპრეზიდენტებას. საგარეო პოლიტიკის კუთხით, ტრამპისა და ჩვენი ხელისუფლების რიტორიკის თანხვედრით, შანსი გვეძლევა, შემდგომი ნაბიჯები თამამად გადავდგათ იმ იმედით, რომ აშშ-ის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა ექნება. რასაც ვერ ვიტყვით ევროკავშირის წარმომადგენლობაზე საქართველოში. ჰერჩინსკის, რომელიც მანიპულაციებსა და ორმაგ სტანდარტებში გამოიბრძმედა, ვურჩევდი, ბულგარეთისთვის მიეხედა, სადაც ხალხი ევროკავშირით უკმაყოფილოა. საქართველოში ჰერჩინსკი ოფიციალური მხარეა, რომელიც ჯერ კიდევ არჩევნებამდე ოპოზიციას წარმოადგენდა, მერე კი რევოლუციური პროცესების ერთ-ერთ სულისჩამდგმელად იქცა.

ვიმეორებ, ტრამპი იმ გზას ადგას, რა რიტორიკასაც ჩვენ დიდი ხანია, მივდევთ. ამიტომ გვაქვს განცდა, რომ შევძლებთ, ჩვენი სუვერენიტეტი ბოლომდე დავიცვათ. ამ გზაზე თამამი, მოურიდებელი ნაბიჯების გადადგმაც მოგვიწევს. მაგალითად, აგრიმანი შევუწყვიტოთ ევროკავშირის ელჩს საქართველოში და მას წითელი ბარათი ვუჩვენოთ. ევროკავშირს საქართველოში ყველაფერზე თავისი რევიზიონისტული მსახვრალი ხელი აქვს დადებული. ჰერჩინსკი ნამდვილად იმსახურებს ქვეყნიდან გაძევებას. მინდა, ხელისუფლებას ღიად მოვუწოდო, არ მოგერიდოთ, ბატონებო, ამ ნაბიჯის გადადგმა, მთელი ქართველი ერი თქვენ გვერდით დავდგებით. ასე ევროკავშირი ჭკუას ისწავლის, რათა პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტს, მის თვითმყოფადობას. ქართველი ხალხის ნების წინაშე ვერანაირი ჰერჩინსკი და ევროკავშირი ვერ შეძლებს გაბრძოლებას და შედეგის მიღწევას. ეს არაერთგზის დავამტკიცეთ და ახლაც ვამტკიცებთ — ქვეყანაში მშვიდობას, სტაბილურობას ვინარჩუნებთ, რაც მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხის დამსახურებაა.

თამარ შველიძე

კანონმდებლობის გამკაცრებით პირიქით, ჟურნალისტიკა თავის სტანდარტებს დაუბრუნდება და ზონდერობიდან გამოვა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჟურნალისტიკაში ეს შეიცვალოს. წივილ-კივილისა და ზონდერული მიდგომის წინააღმდეგი ვარ, ეს უნდა დაბალანსდეს და პროფესია პროფესიონალებს დაუბრუნდეს და არა მათ, ვის მიერაც ამდენი ხანია, ეთიკის, კანონის, კულტურის უგულებელყოფა ხდება. აღმოჩნდა, რომ თურმე ცოდნა საჭირო აღარ არის. ანუ პროფესიამ თავისი სახე დაკარგა. საბედნიეროდ, ახლა იმედის ნაპერწკალი გაჩნდა.

ეს ყველაფერი დასრულდება და მალე, როგორც ოდესღაც იყო, ადამიანურ ყოფაზე გადავალთ. საქართველოში ეს საკითხი ბოლომდე დარეგულირებული არასდროს იყო, მაგრამ ახლა ვითარება აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

— ქალბატონო ლალი, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს როგორ შეაფასებთ, უკვე სამ თვეზე მეტია, ოპოზიცია ქუჩაშია გამოსული და ხელახალ არჩევნებს ითხოვს?

— ზუსტად ვიცი, ოპოზიციამ რაც ჩაიფიქრა — იმაზე დიდხანს იარონ ქუჩაში, ვიდრე ოდესღაც ჩვენ ვიდექით, ანუ ასი დღე. დიახ, მათ უნდათ, ასი დღე შესრულდეს ქუჩაში მათი ყოფნიდან. მაგრამ არაფერი გამოუვათ, მორჩა, ისინი თავიდან ბოლომდე გაკოტრებულები არიან, აღარ არსებობენ. ქათამს თავს რომ მოკვეთ და ცოტა ხანი კიდევ ფართხალებს, აი, ამ მდგომარეობაში არიან. ეს პროცესი თავის ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა.

— თუმცა, ზურაბიშვილი იხტიბარს არ იტეხს და ხუთპუნქტიანი გეგმა გამოსცა...

— ახალ არჩევნებზე ზღაპრები ბებიებს მოუყვნენ. ჩემი აზრით, როცა ჩვენ საბოლოოდ თვითმყოფადობას შევიძენთ, მეტი შეკითხვები აღარ იქნება. ამერიკა ამერიკაა, ევროპა ევროპა და საქართველო — საქართველოა. არავინ უნდა გაბედოს, რომ გვიკარნახოს, როგორ განვაგრძოთ ცხოვრება. ეს არის მთავარი. ჩვენ შეგვიძლია, რაც კარგია, ევროპისგან გადმოვიღოთ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ პირველად რენესანსი საქართველოში იყო. ასე რომ, ყველამ თავის ქვეყანას მიხედოს. ტრამპისა და ზელენსკის შეხვედრამ ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. როცა შენ არ დგახარ იქ, სადაც უნდა იდგე, როცა შენი ქვეყნის ინტერესები უკანასკნელ საფეხურზე გაქვს გადაწეული, აი, მაშინ მიიღებ იმას, რაც ზელენსკიმ მიიღო. ეს პროცესი მალე ევროპაშიც დასრულდება. ევროპა მხოლოდ ორი-სამი ავად განწყობილი პარლამენტარი არ არის, ის სულ სხვა ფასეულობების მატარებელია. მჯერა, მალე ევროპაც თავის პირვანდელ სახეს დაუბრუნდება.

თამარ შველიძე

ტრამპის პოლიტიკა მსოფლიოს მშვიდობისკენ უბიძგებს

ტრამპის პრეზიდენტობა მსოფლიოს მშვიდობისკენ გადახრის — ამ ვერსიის გასამყარებლად ვიმეორებ ტრამპის ერთ-ერთ წინასაარჩევნო დანაპირებს: „მე დავასრულებ უკრაინის ომს“.

ასეთი სურვილის შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს შეასრულებს ტრამპისა და პუტინის პირადი ურთიერთობები. ორივე ლიდერი აღიარებს მათ შორის კარგი ურთიერთობის არსებობას და სწორედ კარგი ურთიერთობები დაასრულებინებს მათ უკრაინის ომს. თავის მხრივ, ტრამპისა და პუტინის ერთად მუშაობა დადებითად აისახება რუსეთისა და ამერიკის ურთიერთობებზე, მათი პოლიტიკური დაპირისპირების აღმავალი ვექტორი კი აღმასვლას შეწყვეტს და დაღმასვლას დაიწყებს.

როგორც ევროპელი ლიდერების გამონათქვამებიდან ჩანს, რუსეთისა და ამერიკის ურთიერთობების გაუმჯობესება მათ არ აწყობთ, ვინაიდან უკრაინის ომის დასრულება მოსკოვისა და ვაშინგტონის პოლიტიკურ დაახლოებას ჩაუყრის საფუძველს, ევროპის ამჟამინდელი ლიდერებისთვის უკრაინის ომის დასრულება მომგებიანი არ არის. უკრაინის

ომის დასრულების პროცესი ჯერ არ დაწყებულა, ევროპის ლიდერები კი უკვე ფიქრობენ საკუთარი შეიარაღებული ძალების შეყვანაზე უკრაინაში. ამჟამინდელი ევროპის ლიდერები უკრაინის ომის დასრულებაზე კი არა, პირიქით, მის გახანგრძლივებაზე ფიქრობენ.

სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ტრამპმა, არ ჩართოს ევროპა უკრაინის ომის დასრულებაზე მუშაობის პროცესში. არც ზელენსკის ჩართვას აპირებს, ან რა სინდისით უნდა ჩაერთოს ზელენსკი ამ პროცესში, როდესაც საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა ევროპის ინტერესები დააყენა, რითაც უკრაინა კატასტროფამდე მიიყვანა.

არ დაეთანხმო ტრამპს იმაში, რომ უკრაინის ომის დასრულებაზე ერთად უნდა იმუშაონ ტრამპის და პუტინის ადმინისტრაციებმა, ანუ ვაშინგტონმა და მოსკოვმა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამერიკა და რუსეთი 21-ე საუკუნის ზემძლავრი ბირთვული სახელმწიფოები არიან, მათი ერთად მუშაობა მშვიდობის დამყარებას და გამყარებას შეუწყობს ხელს მთელ მსოფლიოში. სწორედ ამიტომ

რა ძალები მოვლენ ამერიკის ხელისუფლებაში ტრამპის შემდეგ, უცნობია. შეიძლება კვლავ მოვიდნენ მშვიდობის მოყვარე ძალები, შეიძლება მშვიდობის მოძულე ძალები დაბრუნდნენ. ორივე შემთხვევაში, ის დრო, სანამ ტრამპი იქნება ხელისუფლებაში, საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური გაძლიერებისთვის უნდა გამოიყენოს.

რაც შეეხება საქართველოს პოლიტიკურ გაძლიერებას, ვხედავ ხელისუფლების სურვილს და ვერ ვხედავ საქმეს. შეიძლება არსებობდეს საქართველოს პოლიტიკური გაძლიერების მრავალი გზა, მაგრამ მე ვხედავ ორს და ამ ორზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება.

საქართველოს პოლიტიკური გაძლიერების პირველი გზა

მცირედი დოზით საქართველოს პოლიტიკურად გააძლიერებს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და პირველი გზის არსი სწორედ ამაში მდგომარეობს. საქართველო ოცდაათი წელი „მუშაობს“ ამ საკითხზე, მაგრამ გამთლიანებისკენ მიმავალ გზას ვერა და ვერ დაადგა. იგივე დროის განმავლობაში მეც ვმუშაობდი ამ საკითხზე, ვაწვდიდი ჩემს მოსაზრებებს ხელისუფლებებს, ვაქვეყნებდი სტატიებსაც პრესაში. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი ხედვა საქართველოს გამთლიანებასთან დაკავშირებით არ შეცვლილა 30 წლის განმავლობაში და ამიტომ, ის, რასაც ქვემოთ ძალიან მოკლედ ვიტყვი, ათასჯერ მაქვს ნათქვამი.

დავიწყებ იმით, რომ ყოველთვის აუცილებლად მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია საქართველოს გამთლიანების პროცესში მოსკოვისა და ვაშინგტონის ჩართვა. საქართველოს გამთლიანება თბილისის, სოხუმის და ცხინვალის საქმეა, მაგრამ ადრე თუ გვიან, მსოფლიოს კონკრეტული წერტილიდან აუცილებლად დაიწყება რუსეთისა და ამერიკის დაახლოების პროცესი. ასეთ წერტილად შეიძლება გამხდარიყო გამთლიანებული საქართველო, თუ: თბილისთან, სოხუმთან, ცხინვალთან ერთად, გამთლიანების პროცესში ჩაერთვებოდნენ ვაშინგტონი და მოსკოვი.

ახლა ამერიკისა და რუსეთის დაახლოება უკრაინის ომის დასრულების პროცესში დაიწყება, მაგრამ რუსეთი საერთოდ არ შეიჭრებოდა უკრაინაში, საქართველო თუნდაც სამი წლის წინ რომ გაგვემთლიანებინა. არ შეიჭრებოდა იმიტომ, რომ საქართველოს გამთლიანებით ავტომატურად მოიხსნებოდა ნატო-ს საკითხი, ვინაიდან ნატო-ს წევრობაზე უარს განაცხადებდნენ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ანალოგიურად, უკრაინაში ნატო-ს წევრობაზე უარს იტყვიან რუსულენოვანი რეგიონები, ამიტომ პუტინი კი არ შეიჭრებოდა უკრაინაში, არამედ ურჩევდა ზელენსკის, ჯერ გაემთლიანებინა უკრაინა და შემდეგ ეფიქრა ნატო-ს წევრობაზე.

ახლა გაგიზიარებთ ჩემს ხედვას, თუ რა იძლევა საქართველოს გამთლიანების გარანტიას და გეტყვით, რომ ამის გარანტიას იძლევა: თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის პოლიტიკური თანასწორობა.

რას ნიშნავს პოლიტიკური თანასწორობა? პრიმიტიული ენით რომ ვთქვა, საქართველოსთვის ეს ნიშნავს სამსუბიექტიან სახელმწიფოს, სადაც, რომელიმე სუბიექტი არ მიიჩნევს საკუთარ თავს დანარჩენი ორი სუბიექტის უფროს ძმად. პოლიტიკური ენით კი, პოლიტიკური თანასწორობა ნიშნავს ისეთი მოდელის შერჩევას გამთლიანებული საქართველოსთვის, სადაც თბილისი, სოხუმი და ცხინვალი პოლიტიკურ თანასწორობას რეალურად შეიგრძნობენ. მაგალითად, აშშ-ში დიდი თუ პატარა შტატი პოლიტიკურად თანასწორი არიან.

ახლა ვთქვათ პოლიტიკური თანასწორობის დარღვევის მაგალითი: დავუშვათ, თბილისმა იდეალური მოდელი შეარჩია საქართველოს გამთლიანებისთვის და მზა პროდუქციის სახით მიაწოდა სოხუმსა და ცხინვალს, რა რეაქცია ექნებათ მათ? იდეალურ მოდელსაც კი ისინი აღიქვამენ უფროსი ძმის კარნახად, ამიტომ, ნებისმიერ მოდელზე თბილისმა, სოხუმმა და ცხინვალმა უნდა იმსჯელონ მათივე ერთობლივი მუშაობის პროცესში. სწორედ ამ სამეულის მუშაობის პროცესში ვხედავ ვაშინგტონისა და მოსკოვის ჩართვის აუცილებლობასაც.

საქართველო ვერ გამთლიანდება ვიღაცის კარნახით, თუნდაც ეს ვიღაცა ვაშინგტონი ან მოსკოვი იყოს. საქართველო გამთლიანდება თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის ერთობლივი მუშაობის შედეგად, ამ პროცესში მოსკოვის და ვაშინგტონის ჩართვა კი საერთაშორისო მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ეს რომ ოფიციალურმა თბილისმა გააკეთოს, სოხუმისთვის და ცხინვალისთვის უფრო ძმად წარმოჩნდება. გარდა ამისა, გარკვეულ შიდა ძალებს და ევროპის უმრავლესი ქვეყნების ამჟამინდელ ლიდერებს არ აწყობთ საქართველოს მშვიდობიანი გზით გამთლიანება, მათ ძალით დაბრუნების მცდელობა აწყობთ, რათა რუსეთთან კონფლიქტში შეგვიყვანონ. რა თქმა უნდა, ევროპაში ვითარება შეიცვლება და დემოკრატის ჩარჩოებიდან გასულ ლიდერებს, ვადამდელი ან გეგმიური არჩევნების გზით ჩაანაცვლებენ მშვიდობისა და სიმართლისმოყვარე ლიდერები, მაგრამ ასეთების მოსვლამდე ხომ არ გადავდებთ საქართველოს გამთლიანებას? არც უნდა გადავდოთ, უბრალოდ, თბილისმა არ უნდა აიღოს საკუთარ თავზე, კონფლიქტების დარეგულირების პროცესი. წესით, ეს ინიციატივა გაერო-ს ეკუთვნის, მაგრამ მას რომ რამე შეეძლოს, აქამდეც გაამთლიანებდა საქართველოს, უკრაინის ომსაც დაასრულებდა და ისრაელის ომსაც. მაგალითისთვის გავიხსენოთ დიტერ ბოდენის მისია. რა გააკეთა მან? ირბინა თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს შორის, მოამზადა „დიტერ ბოდენის ვარიანტის“ სახელით ცნობილი დოკუმენტი და წავიდა. რა გამოდის? გამოდის, გაერო-მ გვითხრა, გაქვთ „დიტერ ბოდენის ვარიანტი“ და აწი თავში ქვა გიხლიათო.

შეეძლო თუ არა განვლილი 30 წლის განმავლობაში რომელიმე ხელისუფლებას, ეზრუნა ასეთი არასამთავრობო სტრუქტურის შექმნაზე? საქართველოში უცხო ქვეყნებმა შექმნეს უამრავი არასამთავრობო სტრუქტურა საქართველოს დანგრევის მიზნით, ამიტომ ხელისუფლებასაც შეეძლო ეზრუნა ისეთი არასამთავრობო სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც საქართველოს გამთლიანებაზე იმუშავებდა. საუბარია გამოკვეთილად არასამთავრობო სტრუქტურაზე, ვინაიდან სამთავრობო სტრუქტურა სამინისტროს სახითაც არსებობს და მას მშვენიერი ქალბატონი ხელმძღვანელობს, მაგრამ ამ სამინისტროს, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთ შტოს, სოხუმი და ცხინვალი უფროს ძმად აღიქვამს, უფროსი ძმის კარნახით ცხოვრებაზე კი 30 წლის წინათ თქვეს უარი.

ვინაიდან არცერთმა ხელისუფლებამ არ ჩათვალა საჭიროდ, ეზრუნა ისეთი არასამთავრობო სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად დაიწყებდა საქართველოს გამთლიანების საკითხზე მუშაობას, 2015 წელს, უკვე პენსიონერის რანგში, მე თვითონ დავარეგისტრირე ასეთი და დავარქვი „მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრი“. პენსიონერის ხელში ცენტრმა საქმის კეთება ვერ შეძლო, ამიტომ დიდი ალბათობით, ათწლიანი უმოქმედობის გამო, ის გაუქმებული იქნება.

საქართველოს პოლიტიკური გაძლიერების მეორე გზა

ეს გზა 2025 წლის 22 იანვრის პუბლიკაციაში არასტანდარტულად მოვიხსენიე და გამოვთქვი აზრი, რომ მისი არსის გასაჯაროებამდე, ვინმე კომპეტენტურ პირთან კონსულტაციის გავლა აჯობებდა.

ერთი თვე გავიდა და არავინ გამოიხმაურებია, ამიტომ გადავწყვიტე, ასეთი კომპეტენტური პირი თვითონვე შემერჩია და არჩევანი ბატონ ზურაბ აბაშიძეზე გავაკეთე.

ბატონი ზურაბი მთელი ცხოვრება პოლიტიკაშია და წამყვან პოზიციებზე მუშაობის გამოცდილება გააჩნია, მათ შორის, ფორმატებში მუშაობის გამოცდილებაც. დღეს პოლიტიკური მრჩევლის პოზიციაზე მუშაობს, ანუ უკეთეს არჩევანს ვერ გავაკეთებდი. ამიტომ „საერთო გაზეთის“ საშუალებით, საჯაროდ ვთხოვ მას, დამითმოს დრო ამ საკითხზე საუბრისთვის, ოღონდ, მის ტერიტორიაზე, ვინაიდან ჩემს „მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრს“, რომელიც, სავარაუდოდ, გაუქმებულია, საკუთარი ოფისი არასოდეს ჰქონია.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი საუბრის შემდეგ ბატონი ზურაბი საქართველოსთვის საინტერესოს ვერაფერს აღმოაჩენს, ბოდიშს მოვუხდი საქმეებიდან მოცდენისთვის. თუ პირიქით მოხდება და შემოთავაზებულ გზას დადებითად შეაფასებს, თვითონ გადაწყვეტს, ვის უნდა ესაუბროს იმისთვის, რომ საქართველოს პოლიტიკური გაძლიერების პროცესი დროულად დაიწყოს. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია ბატონი ზურაბისთვის, რომ საუბარი გვექნება საქართველოს პოლიტიკურ გაძლიერებაზე მეზობელ სახელმწიფოებთან დამოყვრების გზით. სიტყვა „დამოყვრება“ შეიძლება პოლიტიკური ტერმინი არ იყოს, მაგრამ ვის უნდა დაუჯეროთ, თუ არა რუსთაველს? „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ჰოდა, სწორედ იმაზე გვექნება საუბარი, თუ რა გზით შეიძლება საქართველოს მისივე მეზობლებთან დამოყვრებამ, თავად საქართველოს და მასთან დამოყვრებული მეზობლების პოლიტიკური გაძლიერება გამოიწვიოს.

როლანდ ნიკოლაიშვილი

იბეჭდება შემოკლებით „სგ“

ომი თუ – მშვიდობა?!

საგანგაშო ვითარებამ დაისადგურა დღეს მსოფლიოში. კვლავ გააქტიურდა შეკითხვა: „ომი თუ მშვიდობა“, რომელიც რიტორიკული აღარ არის. პირიქით, აქტუალობა შეიძინა.

სამი წელიწადი გავიდა, რაც უკრაინაში რუსეთი შეიჭრა. უცნაურია, მაგრამ დღემდე უკრაინის ხელისუფლებას რუსეთთან ოფიციალურად ომი არ გამოუცხადებია, თუმცა, შეიარაღებულმა კონფლიქტმა ორივე მხრიდან უკვე ასეულ ათასი მშვიდობიანი მოქალაქისა და სამხედროს სიცოცხლე შეიწირა.

ჯერ კიდევ 2022 წლის მარტში „საერთო გაზეთი“ წერდა: „...თუ არსებობს მიზერული შანსი ომის თავიდან ასაცილებლად და ხელისუფლება ამას არ აკეთებს, დანაშაულია“. სამწუხარო ფაქტია, რომ უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია სისხლისღვრის შესაჩერებლად. პირიქით, ყავლგასული პრეზიდენტი მოკავშირე ქვეყნებისგან ომის გასაგრძელებლად შეიარაღებას და ფინანსურ დახმარებას ითხოვს.

უკრაინაში ომის შეჩერების იდეით არაერთხელ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც ჯერ კიდევ არჩევნებამდე აცხადებდა, რომ „უაზრო ომს“ მისი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მალევე დაასრულებდა.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ დონალდ ტრამპი მოლაპარაკებების დიდოსტატია. საგულისხმოა, რომ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან შეხვედრა გულზე არ ეხატებოდა, თუმცა, საფრანგეთის პრეზიდენტისა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის შუამავლობის შემდეგ დათანხმდა პირად შეხვედრაზე.

უნდა ითქვას, რომ ზელენსკიმ ტრამპთან შეხვედრამდე უკვე დაიმსახურა მისი უნდობლობა. მიუნხენის ტრადიციული სამშვიდობო კონფერენციის მსვლელობისას აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს ჯეი დი ვენსს თანხმობა განუცხადა უკრაინაში არსებულ სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გადაცემაზე. ამიტომაც მიავლინეს აშშ ფინანსთა მინისტრი სკოტ ბენესტი ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად.

ყოველივეს მიუხედავად, ტრამპი იმედოვნებდა, რომ ზელენსკი საღ აზრზე დადგებოდა და საკუთარი ანტიპათიის მიუხედავად, მასთან შეხვედრაზე დათანხმდა, მით უფრო, ზელენსკი ხმამაღლა აცხადებდა, რომ მზად იყო, საბადოების გადაცემაზე დათანხმებულიყო უსაფრთხოების გარანტიის შემთხვევაში. ზელენსკი თანხმობას აცხადებდა, ასევე, ცეცხლის შეწყვეტასა და სამშვიდობო მოლაპარაკებაზე.

დონალდ ტრამპი ზელენსკის თეთრი სახლის შესასვლელში დახვდა. ნახევრად ხუმრობით აღნიშნა მისი ჩაცმულობა და ირონიით განაცხადა, საზეიმოდ გამოწყობილაო. სამაგიეროდ, ოვალურ კაბინეტში ზელენსკიმ უკვე „აიწყვიტა“, არავის ეპუებოდა, ეკამათებოდა მასპინძელ პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტ ჯეი დი ვენსს და არ ერიდებოდა უხეშ გამონათქვამებს. საბოლოოდ, მასპინძლებმა ზელენსკი, ფაქტობრივად, გააძევეს თეთრი სახლიდან.

თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მსგავსი არასდროს მომხდარა. ტრამპი და ვენსი ცდილობდნენ ზელენსკის მოთვინიერებას, დაეყოლიებინათ სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე, მაგრამ იგი ბრძოლის გაგრძელებას ემხრობოდა. „ჩვენ დავრჩით ქვეყანაში. გავაგრძელებთ ბრძოლას და გავიმარჯვებთ“, — უთხრა ხმამაღლა ჯეი დი ვენსს. მოკლედ რომ ვთქვათ, ცდილობდა, მასპინძლებისთვის საკუთარი აზრი მოეხვია თავს და კვლავაც დომინანტი ყოფილიყო აშშ-ის საშინაო პოლიტიკაში.

როგორც აშშ-ის პრესა იუწყება, ზელენსკის არაადეკვატური საქციელიდან გამომდინარე, სენატორი ტედ კრუზი, რომელიც უკრაინისადმი ლოიალობით გამოირჩეოდა, ზელენსკის გამოხდომებით აღშფოთებული დარჩა. მისი განცხადებით, უკრაინელ სტუმარს არ უნდა ეკამათა დონალდ ტრამპთან.

მოკლედ რომ ითქვას, ზელენსკიმ მოჭრა ის ტოტი, რომელზეც იჯდა. თეთრი სახლის ადმინისტრაციის განცხადებით, აშშ ყოველგვარ ფინანსურ და სამხედრო დახმარებას შეუწყვიტავს უკრაინას, ვიდრე ის საშშვიდობო ხელშეკრულების დადებაზე არ დათანხმდება.

მართალია, კიევის ხელისუფლება ცდილობს არსებული მძიმე ვითარების განმუხტვას, მაგრამ თეთრ სახლში ზელენსკის მთავრობის მიმართ უნდობლობაა. უკრაინის დელეგაციის წევრების უმრავლესობამ შენობა თვალცრემლიანმა დატოვა. უკრაინის ელჩი აშშ-ში ზელენსკის გამოხდომებისას სახეზე ხელებს იფარებდა. შეხვედრა ჩაიშალა, გადაიდო ერთობლივი ბრიფინგი და სხვა ღონისძიებები. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, უკრაინის დელეგაცია ერთ საათზე მეტხანს ცილობდა ტრამპის დაყოლიებას მოლაპარაკების მაგიდასთან დასაბრუნებლად, მაგრამ იგი, ტრადიციულად, შეუვალი იყო.

უკრაინის გულმხურვალე მხარდამჭერმა სენატორებმა თუ კონგრესმენებმა ზელენსკის გადადგომისკენ მოუწოდეს.

ილონ მასკმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ დროა, შეისწავლონ უკრაინისთვის გადაცემული თანხები რაში დაიხარჯა.

საერთოდაც, რა გახდა თეთრ სახლში ზელენსკის თავხედობის მიზეზი, დღემდე განსჯის საგანია მსოფლიოში. საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ბრიტანელმა ჟურნალისტმა ალექსანდრ მერკურმა: „...დასავლური პრესის ცალკეული წარმომადგენლების ცნობა იმის შესახებ, რომ ზელენსკი ხაფანგში შეიტყუეს, უადგილოა. თეთრ სახლში იგი კონფლიქტის აგორების მიზნით მივიდა. ვფიქრობ, კამათი მისვლისთანავე, ჯერ კიდევ დახურულ კარს მიღმა დაიწყო, რომელიც მოგვიანებით ტელეკამერების თანხლებით გაგრძელდა. მიმაჩნია, მიზეზი რუსეთის წინააღმდეგ აშშ-ის ფართომასშტაბიან ომში ჩათრევა გახლდათ. თუმცა, აშშ არ გეგმავს რუსეთთან ესკალაციას“.

გირვანქა სტერლინგს რუსეთის გაყინული ანგარიშების ხარჯზე. ევროკავშირის ხელმძღვანელობა მომხრეა უკრაინისთვის საბრძოლო მასალების მიწოდებისა და კონტინენტის ბრძოლისუნარიანობის გაზრდისა. უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის თანაშემწის მაიკ უოტცის განცხადებით, ევროპულმა ქვეყნებმა უნდა ითავონ სამომავლოდ უკრაინის უსაფრთხოება და, ასევე, გააძლიერონ საკუთარი თავდაცვის სისტემა.

„ევროკავშირი ჩიხში შევიდა საკუთარი პოლიტიკური კურსის მიზეზით. გაერთიანებაში არ ჰყავთ შორსმჭვრეტელი, საღად, რეალურად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწეები. ევროკავშირის საგარეო კურსს, ძირითადად, ბალტიის უფრო მეტიც, ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ტაკერ კარლსონი ითხოვს, დაიწყონ მოკვლევა და ბრალდებები წაუყენონ ზელენსკის ჩადენილი დანაშაულებისთვის.

ამერიკიდან ზელენსკი ბრიტანეთში ჩავიდა, სადაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა კირ სტარმერმა ევროპის ქვეყნების ლიდერების არაფორმალური სამიტი გამართა. თუმცა, შეხვედრაზე არ მიიწვიეს უნგრეთი და სლოვაკეთი.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სამიტი ორჯერ გამართა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა, რომლებიც უშედეგოდ დასრულდა. ლონდონში უნდა განეხილათ უკრაინისთვის შეიარაღებით დახმარება და უსაფრთხოების გარანტიები მიეცათ. ცნობილი გახდა, რომ უკრაინას გადასცემენ 2,6 მლრდ ქვეყნები და პოლონეთი განსაზღვრავენ“, — განაცხადა საბერძნეთის ყოფილმა ელჩმა უკრაინაში ვასილიოს ბორნოვასმა. სავარაუდოდ, ამიტომაც დახვდნენ ცივად ემანუელ მაკრონს და კირ სტარმერს ვაშინგტონში. მაკრონს საერთოდაც არ დახვდა ტრამპი, ხოლო სტარმერი ერთი შეკითხვით — „შეძლებთ დამოუკიდებლად გაუმკლავდეთ რუსეთს?“ კუთხეში მიამწყვდია. ბრიტანელმა შეკითხვაზე მხოლოდ თავი გააქნია და გაიღიმა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მარკო რუბიომ უარი განაცხადა ევროკავშირის პირველ დიპლომატთან კაია კალასთან შეხვედრაზე.

დონალდ ტრამპის იდეას, აშშ-მა გაერო და ნატო დატოვოს, ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა. მათ შორის, მილიარდერი ილონ მასკი. თუმცა, ახლო წარსულში პრესაში უკვე იყო წერილები, რომ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში შესაძლოა, აშშ ალიანსიდან გავიდეს, რაც ევროპისთვის ტრაგედიის ტოლფასი იქნება.

ამასობაში კი მსოფლიოში გრძელდება ჭიდილი პაციფისტებსა და „ომის პარტიას“ შორის. აგრესიულად განწყობილთა დამარცხება იოლი რომ არ იქნება, უკრაინასთან მიმართებით კარგად გამოჩნდა.

საბედნიეროდ, ჩვენმა ქვეყანამ შეძლო ომების წამქეზებელთა მოგერიება. იმედი ვიქონიოთ, რომ მსოფლიოც გაუმკლავდება ლიბერალ აგრესორებს.

გია ბურდული

„თავს სინანული სჯობია, ბოლო ჟამს დანანებასა...“

ინტერნეტში არის თენგიზ სიგუას ვიდეოჩანაწერი, სადაც ის თანაგრძნობით ამბობს, რომ „საცოდავ ზვიადს ყველამ უღალატა, ინტელიგენციამ, პოლიციამ, უშიშროებამ, იმ ადამიანებმაც, ვინც ერთგულებას ეფიცებოდა. იმჟამად სასტუმრო „თბილისში“ ყოველ ერთ საათში ერთხელ მათგან მოდიოდა ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა ე. წ. „ბუნკერში“. აქ იგი ისეთი პათოსით ლაპარაკობს, რომ ის საკუთარ თავს მოღალატედ არ მიიჩნევს, თითქოს თავად მამა აბრამის ბატკანი იყო და უბრალო მოწინააღმდეგედ წარმოგვიდგება.

მართალია, იმ ფარისევლებთან შედარებით, აშკარა მოწინააღმდეგეები ზნეობრივად უფრო მაღლა მდგომებად გვევლინებიან, მაგრამ ყელა ერთად მაინც მოღალატეთა ბანაკში იყრის თავს. მისი ეს ნათქვამი ერთდროულად არის იმ დროს გამცემლობის გამჟღავნებაც, დაგვიანებული თანაგრძნობის და სინანულის გამოხატულებაც, რაზეც თავის დროზე უნდა ეფიქრა მასაც და მის მსგავსებსაც, როდესაც ცოდვასთან ერთად, დანაშაულს სჩადიოდნენ და პირად ამბიციებს სწირავდნენ სამშობლოს მომავალს.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო მხოლოდ პიროვნების ღალატი, არამედ, ეს, თავისი არსით, ქვეყნის ღალატი იყო. მათ, უკლებლივ ყველამ, ბატონ ზვიადს - საქართველოს პრეზიდენტს კი არა, არამედ სამშობლოს უღალატეს, რომელთა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, უცხო ძალების მხარდაჭერილმა ქმედებამ ქვეყანა დააქცია, გარეშე ძალების გავლენის ქვეშ მოაქცია, სავალალო მდგომარეობაში ჩააყენა და საქართველო საბოლოოდ წელში გატეხა. ამის გამო, აგერ მეოთხე ათწლეული მიდის, და ამ მდგომარეობიდან ჯერაც ვერ გამოსულა და როდის და როგორ გამოვა, კვლავ საკითხავია. ამასთანავე, დასაბამი მისცა ერის გახლეჩას, რომლის გამთლიანებას დღემდე პირი არ უჩანს.

ქვეყნის შინაური მტრობა გარეშე მტრობაზე გაცილებით უარესია. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოსთვის მანამდე არცერთ მტერს ისეთი მძიმე დარტყმა არ მიუყენებია, როგორიც მათ მიაყენეს. აქედან მომდინარე, დღეს საქართველო და ქართული გენი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. ეს არ იყო უმნიშვნელო, უხიფათო ღალატი. მან საქართველო კატასტროფამდე მიიყვანა. შედეგად, მივიღეთ ადამიანთა მსხვერპლის უაზრო, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, სამწუხარო-სამარცხვინო კასკადი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. ეროვნული საოცნებო თავისუფლების ნაცვლად, ხელში შეგვრჩა მისი სუროგატი - ფსევდო დამოუკიდებლობა. ეროვნული თავისუფლება კვლავ მოსაპოვებელი გაგვიხდა და მისი მოპოვების გზები საძიებელია. ხელისუფლების მხრიდან მისი მცდელობა დღეს დიდ წინააღმდეგობას აწყდება. ამიტომ, არსებული ყოფიდან გამომდინარე, ბუნებრივად გაჩნდა შეკითხვა: რა სჯობდა, ის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე იურიდიულად, ანუ პოლიტიკურ რუკაზე, როგორც ერი და სახელმწიფო არ ვარსებობდით, ხოლო ფიზიკურად მძლავრად ვიდექით და ჩვენ ეროვნულ არსებობას საშიშროება არ ელოდა, თუ ჩვენი დღევანდელი ყოფა, როდესაც საერთაშორისო ასპარეზზე იურიდიულად ვარსებობთ, როგორც სახელმწიფო, ხოლო ფიზიკურად ეროვნული გაქრობის საშიშროების წინაშე ვდგავართ და მთელი ეროვნული ძალისხმევის მოხმობა გვჭირდება, რომ გადავრჩეთ? იქნებ, სჯობდა, რომ დამოუკიდებლობისათვის არ გვებრძოლა? თავს დატეხილი ამდენი უბედურების შემდეგ ამ შეკითხვას აქვს არსებობის უფლება. გამოდის, რომ, ჩვენდა უნებლიედ, არჩევანის წინაშე აღმოვჩნდით: თავისუფლება, ანუ დამოუკიდებლობა, თუ ეროვნული არსებობა, მაშინ, როცა დამოუკიდებლობა ეროვნული არსებობისა და განვითარებისათვის გვესაჭიროება. აი, რა წინააღმდეგობრივი დილემის წინაშე დავდექით.

ასე რომ, არსებული ვითარებით ეჭვის ჭია შეეპარა თვით თავისუფლებისკენ ლტოლვას და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. აი, სადამდე დავედით. ეს გვაიძულებს, დავფიქრდეთ ამ საკითხებზეც, სად და რაში დავუშვით შეცდომა, რამ მიგვიყვანა აქამდე, რომ გამოსავალი გზები მოვძებნოთ, გადავრჩეთ და გავძლიერდეთ. ამ ეროვნული უბედურების თავი და თავი, ძირითადი მიზეზი შიდა მოღალატური კარიერისტული ძალების მეშვეობით უცხოეთისადმი ჩვენი გულუბრყვილო მინდობა და მათ იმედად ყოფნა გახდა. უცხოეთმა ვერაგულად ისარგებლა ჩვენი პოლიტიკური მიამიტობით და თავისი ხრიკებით, მითითებებით და ზეწოლით ამ დღემდე, ანუ ამ ყოფამდე მიგვიყვანა.

რაც შეეხება ნათქვამს, ზვიადს ყველამ უღალატაო, მისთვის ხალხს არ უღალატია, დღემდე მისი, როგორც ერის ღირსეული შვილის პატივისმცემელი და მისი იდეების ერთგული დარჩა, უღალატეს ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილმა მედროვე ელემენტებმა, რაც ყველა საზოგადოებრივ ხდომილებას თან ახლავს. ასეთებმა, იგრძნეს რა საშიშროება, იმავდროულად, დაიწყეს საჭიროების შემთხვევისათვის მეორე მხარეს გადასასვლელი ფონის ძიება და ინფორმაციების მიწოდებით და მსგავსი ქმედებებით იქითა მხარეს სამომავლოდ საყრდენების დამკვიდრება. ისინი პირადულს საზოგადოებრივი ინტერესებით ნიღბავდნენ, სინამდვილეში კი, მათ არც მეორე მხარე აინტერესებდათ და არ ენაღვლებოდათ. ასე გადასვლა-გადმოსვლით და თამაშ-თამაშით მათი ნაწილი დღემდე მოვიდა, ისინი ცუდი მაგალითის მიმცემები აღმოჩნდნენ. სამწუხაროდ, მომდევნო თაობებში მათ გამოუჩნდნენ წამბაძველები და ისინიც ასე, დაჯგუფებიდან დაჯგუფებაში (მათ პარტიებს ვერ ვუწოდებ) გადასვლა-გადმოსვლით, სამშობლოს დაძაბუნების ხარჯზე განაგრძობენ ცხოვრებას.

ამასთან ერთად, სავალალოა ისიც, რომ ქვეყნის დამაქცევარ თითოეულ მათგანს ყველაფერი შერჩა. დღემდე ამ ქმედებას ოფიციალურად პოლიტიკური შეფასებაც კი არ მიეცა, რაც, თავის მხრივ, ღალატის დაფარვა და მისი გაგრძელებაა.

დროა, დასრულდეს ეს გაუგონარი უსამართლობა. სამართლიანობის აღდგენის და ერის ზნეობრივი გაჯანსაღების, მომავალი თაობის მამულიშვილური პათოსით აღზრდისა და ქვეყნის ჩიხური მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით, დაგვიანებით, მაგრამ მაინც, მომხდარ კრიმინალურ სახელმწიფო გადატრიალებას უნდა მიეცეს შესაბამისი პოლიტიკური შეფასება, ფარდა აეხადოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობას და ბრალი წაეყენოს ცოცხალ, თუ უკვე გარდასულ დამნაშავე პირებს. ამას მოითხოვს ისტორიული ჭეშმარიტება და ქვეყნის უხიფათო გარანტირებული მომავალი, თორემ კარიერისტებს და „კუჭით მოაზროვნეებს“ რა დალევს ამ ქვეყანაზე, რომელთაც ერის ცხოვრებაში სხვაგვარად ხელის ფათურის სრული ასპარეზი ეძლევათ და ქვეყნის რყევებს დასასრული არ ექნება.

უნდა დაიდოს გამოძიების ოფიციალური საბუთი იმ მხრივაც, რომ მომავალმა თაობებმა იცოდნენ სიმართლე და პრეზიდენტის მკვლელობა კვლავ არ იქცეს ვარაუდებისა და ჭორების საგნად, როგორც დიდი ილიას მკვლელობა.

აქვე ისიც საგულისხმოა, რომ XX საუკუნეში გამოგვიჩნდა ორი დიდი, სამშობლოსათვის თავგადაკლული პიროვნება და ორივე მოვკალით, ერთი საუკუნის დასაწყისში, ხოლო მეორე - იმავე საუკუნის დასასრულს. ჩანს, ეს ეროვნულ მანკიერებად დაგვყვება და გასული საუკუნე ამ ორი დიდი ეროვნული ცოდვით არის დამძიმებული. რაც ძალიან ბევრ მნიშვნელოვან რამეზე მიგვანიშნებს და ჩვენი ეროვნული არსებობისათვის მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანას მოითხოვს. სწორედ ამ მანკიერებაზე მიგვითითებდა დიდი კონსტანტინე, თუ ოდესმე სადმე დიდი კაცი გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაჭრილ არწივს, ყორნებიო. ასეთი საქციელით კი მხოლოდ საკუთარ ერს და თავს ვვნებთ. ამიტომ, ორივე ეროვნული ტრაგედია ღრმა ჩაფიქრებას და გააზრებას საჭიროებს, რომ ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში აღმოვაჩინოთ და აღმოვფხვრათ ის დამღუპველი ნაკლი, რომელმაც ერს აუნაზღაურებელი ზიანი მოუტანა და სირცხვილად მუდმივად თან დაგვყვება. სამწუხაროდ, ორივე ფაქტი ჩვენი ეროვნული ღირსების შავი ლაქაა, რომელსაც ვერასდროს ჩამოვირეცხავთ. ჩადენილი ცოდვა იმით მაინც შევიმსუბუქოთ, რომ დადგინდეს სიმართლე პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ, ვიდრე დრო ჯერ კიდევ დრო გვაძლევს ამის საშუალებას.

P.S. ამასთანავე, არ შეიძლება საქართველოს ისტორია ტყუილებზე აიგოს და მომავალმა თაობამ სიმართლე არ იცოდეს. რუბრიკა “საქართველოს დაბადებაში,” იაგო ხვიჩიასთან ინტერვიუში ყოფილი საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი ყოფილი დირექტორი, თუ არ ვცდები, პეტრე სუხიაშვილი ნაწყენი ბრალდებითი ტონით აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას დროს განუკითხაობა იყო, სოფლად მეურნეობები, ხოლო ქალაქად საწარმოები დაიშალა და თურქეთში ჯართად გაიყიდაო, რის გამოც დასაბამი მიეცა ჩვენ სიღარიბესო. ამ გზით ქვეყნის დაქცევის ფაქტი მართალია, მაგრამ ზვიად გამსახურდიას სახელისთვის ამის მიწერა მტკნარი სიცრუე და ცილისწამებაა. უნდა ვიფიქროთ, რომ, ალბათ, მეხსიერებამ უღალატა. სინამდვილეში, ეს პირიქით იყო. ქვეყანას ეკონომიკური საფუძველი რომ არ გამოსცლოდა და არ დაქცეულიყო, ამიტომ სოფლის მეურნეობის და წარმოების ობიექტები ხელუხლებლად დატოვა. ზვიადს მიაჩნდა, რომ მათ არსებობას გარდამავალი როლი უნდა შეესრულებინა, რის სისწორეც თავად ცხოვრებამაც აჩვენა, მაგრამ ვინ აცალა საქვეყნო საქმის კეთება? სწორედ ამის გამო იყო, რომ მას ბრალად უყენებდნენ და საყვედურობდნენ, ამბობდნენ: შიგნიდან “წითელია”, ანუ მრწამსით კომუნისტია და ისევ საზოგადოებრივ საკუთრებას ინარჩუნებსო. მათი დაშლა, განიავება და უცხოეთში გაყიდვა მოხდა გარეშე ძალების მითითებით (თუ რატომ, ეს ცალკე საკითხია) ე. წ. დიდი პოლიტიკოსის დროს და თუ რამ კიდევ დარჩა გასატან-გასაყიდი, წარმატებით გაგრძელდა მისი პოლიტიკური მემკვიდრეების მიერ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე, ზვიად გამსახურდია უცხო ძალებისა და ქვეყნის შიგნით მათი დასაყრდენი მოღალატეების მითითებებს და მოთხოვნებს არ დაემორჩილა და სწორედ ამიტომ დაამხეს მისი ხელისუფლება. ამასთანავე, სასოფლო და საწარმოო ობიექტების დაშლით, პირველ რიგში, “ხელი მოითბეს” თავად ამ ობიექტების დირექტორებმა და ხელმძღვანელმა პირებმა და ხალხის ქონების ხარჯზე მოგვევლინენ მქონებელ-მეპატრონეებად. ასე განიავდა თავდაუზოგავი შრომითა და ოფლით შექმნილი სახალხო ქონება, რის შემდეგაც ერთ დროს სისხლსავსე მწარმოებელი ქვეყანა გავერანებულ-გაპარტახებულ სივრცედ იქცა, რის შედეგებს დღემდე ვიმკით.

ამბროსი კავლელაშვილი
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველო, დაბოვე ჯანმო!!!

როგორც ყოველთვის, საქართველოს მედია სრულად არის ჩართული ე. წ. პოლიტიკურ პროცესებში და წერტილოვნად სპორტისა და კულტურის მიმართულებებში, ხოლო გამიზნულად თუ გაუაზრებლად, გვერდს უვლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რაც უმნიშვნელოვანესია პოპულაცია ადამიანისთვის. აშშ ტოვებს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას; იგივე განაცხადი აქვს იტალიას და მას უერთებიან სხვა ევროპული ქვეყნებიც; საქართველოში იგივე მოთხოვნის პეტიციაზე ხელმოწერები დაიწყო, რათა შემდეგ პარლამენტს გადაეცეს განსახილველად. ამის შესახებ ინფორმირებული უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. გთავაზობთ ამონარიდებს კონფერენციიდან:

თინათინ გოცაძე (მედიცინის დოქტორი, პროფესორი): „საქართველომ ნამდვილად უნდა დატოვოს ჯანმო, იმიტომ, რომ ეს არის ტერორისტული, კრიმინალური ორგანიზაცია თავისი შექმნის დღიდან, განვლილი ისტორიით და დანაშულებრივი ქმედებებით, რომლებიც უკვე ტომებს მოიცავს. ჯერ კიდევ კოვიდ-პანდემიის დროს, ხორვატი ევროპარლამენტარი მოუწოდებდა კოლეგებს, რომ ელიარებინათ და გამოეცხადებინათ ჯანმო ტერორისტულ ორგანიზაციად.

მეორე საკითხია ის, რომ ჯანმო-მ, დღიდან შექმნისა, ძალზე წარმატებით და სწრაფად მოახერხა მისი დამაარსებლების იდეის ფრთებშესხმა — მსოფლიო მოსახლეობის შემცირება!

ჩვენთვის, ექიმებისთვის, ძალზე გამაოგნებელია და შოკისმომგვრელია ის, რომ ყველა პროექტი, რაც ეხებოდა შობადობის კონტროლს, ოჯახების დაგეგმარებას, რეპროდუქციულ ჯანმრთელობას და ა. შ. თავსმოხვეული იყო არა მხოლოდ ევროპისთვის, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვისაც და იყო მხოლოდ მოსახლეობის შემცირებისთვის გამიზნული. ყველა პროექტი, რომელსაც ჯანმო ედგა და ახლაც უდგას სათავეში, ემსახურება მხოლოდ ამ მიზანს. მინდა იცოდეთ, რომ გენოციდის ძალზე ეფექტური მეთოდები არის ამაში ჩართული, ისეთები, რომელსაც ვერცკი წარმოიდგენთ და დაუშვებთ.

ჯერ მხოლოდ კოვიდ-პანდემიის პროექტიც კი, თავისი ვერაგი გართულებებით და შედეგებით, უკვე დასტურია იმისა, რომ მხოლოდ ამ მიზანს ემსახურებოდა. ესეც ცნობილია, რომ როკფელერების ფონდი, მსოფლიო ბაზარზე არსებული მედიკამენტების 80%-თან არის კლანურად დაკავშირებული. ბიგ-ფარმა და მისი ვეშაპები, სწორედ ჯანმო-სთან გარიგებაში, ოსტატურად მდიდრდებიან ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანების ხარჯზე.

მაგალითად, 2023 წლიდან 2030 წლის ჩათვლით, პროექტი, რომლის ვალდებულებაც აიღო ჯანმომ-მ, მოიცავს აფრიკის ტერიტორიაზე მალარიის საწინააღმდეგო 80-იდან 100 მლნ-მდე ვაქცინის გამოყენებას. კვლევებით უკვე დადასტურებულია, რომ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, საცდელ ჯგუფში 10-ჯერ მეტია ცერებრალურ გართულებები. სქესობრივ დიმორფიზმს თუ ავიღებთ, გოგონები 2-ჯერ უფრო ხშირად იღუპებიან. აი, ასეთი ვაქცინა ჩაეშვება წარმოებაში ცრუ რეკლამებით, მიუხედავად იმისა, რომ 4-ჯერ ვაქცინირების შემთხვევაშიც ვერ უზრუნველყოფს იმუნიტეტს. ასე რომ, მიზანი ამ ვაქცინის გამოყენებისა, ნათელია, რაც არის.

სულ ცოტა ხნის წინათ, დევიდ მარტინმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ თურმე, ჯანმო-ს წინასწარ აქვს გაწერილი თავის წესდებაში მისი წევრების იმუნიტეტის შესახებ, — ჯანმო-ს გენერალურ მდივანს და ჯანმო-ს წევრებს ვერ დააკავებენ, ვერ დააპატიმრებენ; იკრძალება მათთვის პირადი ბარგის ჩამორთმევა, პასუხგებაში მიცემა და ა. შ. ამ ყველაფერს გეუბნებით იმიტომ, რომ წარმოდგენა გქონდეთ, რა არის ჯანმო...

ჯერ მხოლოდ კოვიდ-პანდემიის დროს გამოყენებული ვაქცინებით მაინც იქნა გარკვეულწილად მიზანი მიღწეული, — 17 მლნ ადამიანი შეიწირეს, გარდა იმისა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში, მსოფლიოში გამოყენებული ვაქცინებიდან, კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინა ორგანიზმის ყველაზე ძლიერ დამაზიანებელი და დამანგრეველი იყო.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა იმ პრეპარატიდან, რომელიც დღეს არის მსოფლიო ბაზარზე, პროვიზორ გეორგიუ დევიდოვის ინფორმაციით, რომელიც 25 წელია ამ სფეროში, რამდენიმე პრეპარატი ჯანმო-ს მხარდაჭერით არის ჩაშვებული და ემსახურება ადამიანის სტერილიზაციას. თუ აქამდე მხოლოდ ქალთა სტერილიზაციაზე ვსაუბრობდით, ახლა მამაკაცების სტერილიზაციის პრობლემაც დგას.

მაგალითად, როგორიც არის ანტივირუსული პრეპარატი „კაგოცელი“, რომლის შესახებაც ასევე იცის ჯანმო-მ, რომ იწვევს მამაკაცთა სტერილიზაციას, ჩაშვებულია და თუ ევროპის ბევრ ქვეყანაში ამოიღეს გამოყენებიდან, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და თურქეთშიც ისევ იყიდება (დავინტერესდი, ვიკითხე აფთიაქში და ჩვენთან ნამდვილად იყიდება, — მ. ჭ).

თინა თოფურია (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი): „ალბათ, უკვე იურისტი უფრო ვარ, ვიდრე ექიმი, რადგან უამრავი დრო მიაქვს ჯანმო-ს ჩახლართულ კანონმდებლობაში გარკვევას. მათ მზაკვრულ გეგმებს რომ გაეცნო, რამდენიმე დოკუმენტზე ერთდროულად უნდა იმუშაო.

ჯანმო-ს კანონმდებლობა ისე არის შედგენილი, რომ პრაქტიკულად არ არსებობს იქიდან გამოსვლის მექანიზმი. არის ასეთი გაურკვეველი ფრაზა „ამ საკითხის დაყენება შეიძლება მაშინ, როდესაც გარემოება შეიცვლება“, მაგრამ რა „გარემოებაზეა“ საუბარი, გაუგებარია. ბევრი ქვეყანა, კარგახანია, პანდემიის პერიოდში და მის შემდეგაც ცდილობს, რომ გამოვიდეს ამ ორგანიზაციიდან, მაგრამ ვერ მიაგნო მექანიზმს.

დღეს, მოგეხსენებათ, აშშ-ში რაც ხდება, — განსაკუთრებული აქცენტი კენედიზე მაქვს, რომელსაც შეუძლია, დაასაბუთოს რაღაც გარემოების ცვლილება. წესდებაში არის კიდევ ერთი დათქმა, რომ ჯანმო-დან გამოსვლის შესახებ განცხადების შეტანიდან ერთი წლის მერეა შესაძლებელი ამის განხორციელება, დანარჩენი რაღაც პროცედურული მომენტებია, — რა მომენტებია, ეს არ არის დაწერილი. ესე იგი 2026 წლის იანვარში, 20 იანვრის შემდგომ, შეგვიძლია მივიღოთ რეზულტატი, — აშშ-ს ვგულისხმობ. ტრამპმა კენედის რჩევით გააკეთა მეორე ნაბიჯი, — მან წერილი მისწერა ჯანმო-ს, რომ ის უარს ამბობს იმ რეზოლუციის რატიფიცირებაზე, რომელიც მიღებული იყო ჟენევაში ჯანმო-ს 77-ე სამიტზე გასული წლის მაისში.

ყველა დამშვიდდა იმით, რომ ახალი პანდემიური ხელშეკრულება თითქოს ჩავარდა, მაგრამ ბოლოხანს მიიღეს რეზოლუცია, სადაც წერია, რომ დოკუმენტზე მუშაობა ისევ გაგრძელდება და მაქსიმუმ, ერთი წლის შემდეგ, ის მიღებული უნდა იქნას, ანუ ამა წლის 1-ელ მაისამდე, ე. ი. ჯანმო-ს 78-ე სამიტზე.

ამ რეზოლუციის მე-2 პუნქტი ძალიან შემაშფოთებელია, — მათ ეშმაკურად აიღეს 2005 წელს რედაქტირებული საერთაშორისო სამედიცინო რეგულაციები და შექმნეს ისეთი პუნქტები, რომლითაც ეს დოკუმენტი გადაკეთდა პოლიტიკურ დოკუმენტად. მისი მეშვეობით ჯანმო-ს შეუძლია, რომ პანდემიის გამოცხადების შემთხვევაში, მართოს მთელი მსოფლიო.

რაშია საქმე, — არსებობს დოკუმენტი, რომლის ძალითაც, ჯანმო-ს დირექტორს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოაცხადოს პანდემია, თუკი მას უცბად მოეჩვენება, რომ სადღაც, რომელიღაც ქვეყანაში გაჩნდა პათოგენი, ბაქტერია თუ ვირუსი, სულ ერთია, მას შეუძლია რამდენიმე ქვეყანაში პანდემიის გამოცხადება. სადღაც არის „მაიმუნის ვირუსი“, გაჩნდა ინფორმაცია, რომ ბაქოში გამოჩნდა ერთი შემთხვევა და ბაქო ახლოს არის საქართველოსთან...

ტრამპის განცხადების შემდეგ, ჯანმო, ბილ გეითსი, გაერო და სხვა სერიოზული ძალები ისტერიკაში არიან და ყველანაირად შეეცდებიან, რომ აშშ ამ ორგანიზაციიდან არ გავიდეს...

მე მაქვს ყველანაირი მონაცემი, რომ ჩვენი ქვეყანა არ აპირებს ჯანმო-დან გამოსვლას!

ჯერ კიდევ აპრილში, მე გავაკეთე პეტიცია, რომ ჩვენი ქვეყნის მიერ ჯანმო-ს ხსენებულ რეზოლუციებზე ხელი არ მოეწერათ, რაზეც ძალიან საინტერესო პასუხი მივიღე. ესე იგი, იმ დოკუმენტზე, რომელიც ჩავარდა ჯანმო-ს 77-ე სამიტზე, ჯანდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერა. რომ ჯანმო არის გადასარევი ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავს ადამიანების ჯანმრთელობაზე მთელ მსოფლიოში და არაფერი ამ დოკუმენტში არ არის საეჭვო, — ეს მას შემდეგ მომწერეს, რაც მსოფლიოს 194-მა ქვეყანამ უარყო აღნიშნული დოკუმენტი!

გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც ტრამპმა ჯანმო-დან აშშ-ის გამოსვლაზე გააკეთა განაცხადი, იწყება ჯანმო-ს მესვეურების გააქტიურე-

რამდენად შემომიერთდებით, თქვენი გადასაწყვეტია, მაგრამ მე, ჩემი ორგანიზაციის სახელით მივმართავ მთავრობას და მოვითხოვ, რომ მათ წერილობითი ფორმით განაცხადონ უარი იმ დოკუმენტზე, რომელიც მიღებული იყო ჯანმო-ს 77-ე სამიტზე.

რატომ უნდა განაცხადონ უარი? — ჯანმო-ს 21-ე და 22-ე პუნქტებში პირდაპირ წერია, რომ თუკი ჯანმო-ს გადაწყვეტილებაზე არ დაიწერა წერილობითი უარი 12 თვის განმავლობაში, ის ავტომატურად შედის ძალაში იმ ქვეყანაში, რომელმაც არ გამოხატა პროტესტი და ამას ჰქვია „მდუმარე თანხმობა“.

ესე იგი, თუკი 1-ელ მაისამდე არ დაიწერა ასეთი დოკუმენტი და არ გაიგზავნა საქართველოს მხრიდან, ასეთ შემთხვევაში ის დოკუმენტი შევა ძალაში და ნახეთ, რა მოხდება, — აშშ-ში ხომ დაწერა ტრამპმა, რომ ჯანმო-დან გასვლა უნდა აშშ-ს, მან მაშინვე გააგზავნა მეორე წერილი, რომ აშშ-მა უარი თქვა რატიფიკაციაზე, ამ ახალ სანიტარულ რეგულაციებზე, მაგრამ ერთი წელი მაინც იქ არის, — დროის მოგების ამბავია. ერთი წელი ხომ რჩება, ამ ერთ წელში, უცბად შეიძლება ჯანმო-მ გამოაცხადოს რაღაც პანდემია და უნდა დაექვემდებაროს აშშ, იგივე მოხდება ჩვენს შემთხვევაში.

როდესაც „მდუმარე თანხმობა“ გექნება, როდესმე შეძლებ თუ არა გამოსვლას ამ ორგანიზაციიდან, განსაზღვრული არ არის, ანუ ძალიან ეშმაკურად არის შედგენილი. ამიტომ, მთავრობამ უნდა გააკეთოს მეორე წერილიც, რადგან ამას ჩვენ ვერ გავაკეთებთ. მთავრობა თავისი ნებით არ გააკეთებს, პირიქით, როგორც ჩანს, ძალიან მოსწონთ, იმიტომ, რომ დაფინანსებას ელოდებიან...

მაია ჭელიძე

(გაგრძელება იქნება)

გლობალური დათბობა - მსოფლიო შანტაჟი, თუ რეალური საფრთხე

„საერთო გაზეთის“ 2024 წლის #43-44-ში იმ მსოფლიო აფერაზე ვწერდი, რომელსაც „გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლა“ უწოდეს, რეალურად კი, „გლობალური სიგიჟეა“, რა სახელიც იმავე კრებსითი დასავლეთის მოაზროვნე ადამიანებმა უკვე დაარქვეს.

კონკრეტული უსიამოვნო ამბის გამო, ეს თარიღი კარგად მახსოვს, 10.10.2010 — გმირთა მოედანზე გავიჭედე, რადგან 14 საათსა და 50 წუთზე გლობალური დათბობის წინააღმდეგ მსოფლიო გაერთიანების აქციას „გამორთე ძრავი!“ ქართველი მძღოლებიც შეუერთდნენ.

ვინაიდან თითიდან გამოწოვილი ამბების დაჯერება მიჭირს, ჩავეძიე მსოფლიოს ამ წამოწყებას და მას შემდეგ დროდადრო შემოვუძახებ ხოლმე მკითხველს. შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გასაგები ენით ვუხსნი, რატომ არ უნდა დაიჯერონ ყველაფერი, რაც მსოფლიოს გაერთიანების სახელით იწყება — რა თქმა უნდა, მხოლოდ გლობალურ დათბობას არ ვგულისხმობ.

ამ საკითხში კომპეტენტური არ ვარ, მაგრამ ლაზერების ფიზიკისა და კვანტური ელექტრონიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის დამაარსებელ ფიზიკოს მეცნიერს რომ დავუჯეროთ, იქნებ, საინტერესოც იყოს და სასარგებლოც, ამ საკითხში გარკვევა.

მე და ბატონი მერაბ ჯიბლაძე „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“ — იმიტირებულ სასამართლო პროცესზე დავმეგობრდით და უამრავ საკითხზე ვსაუბრობდით, რასაც შემდეგ ინტერვიუს ფორმას ვაძლევდი. რადგან იმთავითვე დამაეჭვა გლობალური დათბობის გამოწვევაში ადამიანების დანაშაულმა, მას მივმართე, გლობალური დათბობა რეალური საფრთხეა თუ მსოფლიო შანტაჟი-მეთქი?

საფრთხეებით განებივრებულები ვართ. ომის საფრთხეები ოთხივე კუთხიდან არ კმარა, კოსმოსიდანაც საფრთხეებია — ხან კომეტა გვიახლოვდება, ხან მეზობელი გალაქტიკის რომელიღაც პლანეტასთან შეჯახებას გვპირდებიან, ახლა გლობალური დათბობით გვაშინებენ...

ჩვენ ვგრძნობთ და თერმომეტრზე ვხედავთ, რომ ჰაერის ტემპერატურა ნელ-ნელა მაღლა იწევს, ტორნადოების რაოდენობა იზრდება, მაგრამ რასთან არის დაკავშირებული ეს ყველაფერი, ელემენტარულ დონეზე მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ ადვილად გასაბრიყვებლები არ ვიყოთ?

ბაქოს 27-ე კონფერენციაზე რომ ვიყავით შარშან წარდგენილები და კიდევ ერთხელ დავუდეთ თავი მოსაჭრელად მსოფლიო აფერას, მეცნიერების ამ მიმართულების ერთი მცოდნე და ენაწყლიანი ფიზიკოსი მაინც წაეყვანათ, რომელიც ევროპელი პარლამენტარებივით წინ დაუდებდა „გლობალური სიგიჟის“ მტკიცებულებას და ამ სიგიჟის თანამონაწილეობიდან გამოსვლის აუცილებლობაზე ჩვენს დელეგაციას სიტყვას შეაწევდა.

ნახშირორჟანგისთვის, CO_2-ისთვის გლობალური დათბობის დაბრალება სრული აბსურდია!

ელემენტარული ქიმია ყველამ ვიცით. მარტივად ავხსნი — CO_2-ის მოლეკულა ბუნებით ისეთივეა, როგორიც წყლის მოლეკულა. ორივე ერთნაირად შთანთქავენ ინფრაწითელ გამოსხივებას, CO_2 ატმოსფეროში 0,035 პროცენტია.

ამბობენ, რომ ნახშირორჟანგის მოლეკულები ხელს უშლიან დედამიწის გაცივებას. საქმე ის არის, რომ ინფრაწითელი გამოსხივების შთანთქმა სულაც არ არის დათბობის მიზეზი, რადგან, თუ ამ მტრად შერაცხული გაზის მოლეკულებმა შთანთქეს რაღაც ენერგია, თერმოდინამიკური წონასწორობის შესანარჩუნებლად, ატმოსფეროს ზედა ფენებში თანდათანობით გადმოასხივებენ ინფრაწითელ ფოტონებს, რაც პირიქით, დედამიწის ზედაპირის გაცივებას იწვევს. ისე, საინტერესოა, წყლის, აზოტის, წყალბადისა და სხვა ნივთიერებების მოლეკულებს რატომ არ ახსენებენ?

წლიური საშუალო ტემპერატურის მატება, ძალიან ჰგავს ნახშირორჟანგის რაოდენობის გაზრდას, მაგრამ საქმე ის არის, რომ **ნახშირორჟანგი კი არ არის ტემპერატურის აწევის მიზეზი, არამედ ტემპერატურის აწევაა იმის მიზეზი, რომ ნახშირორჟანგის რაოდენობა გაიზარდა.** ნახშირორჟანგი დიდი რაოდენობით არის ზღვებსა და ოკეანეებში, რომელიც ტემპერატურის გაზრდის შედეგად ზემოთ, ჰაერში ამოდის.

ის, რომ ოკეანის სიახლოვეს მცხოვრებლებისთვის აუტანელია დიდი სიცხე, ტენიანობის „დამსახურებაა“. მაგალითად, ნიუ-იორკში ტენიანობა 100 %-ია.

გლობალური დათბობის მიმდევრები ასევე გამუდმებით იმეორებენ ტერმინს „სათბურის ეფექტი“, რაც განუზომელი სისულელეა!

„სათბურის ეფექტი“ მუშაობს მხოლოდ სათბურში, ანუ, როდესაც გადახურულია რაღაც ფართობი, სადაც ტემპერატურა მართლაც გაცილებით მაღალია, ვიდრე რეალურად, მაგრამ ტემპერატურა მეტია იმიტომ, რომ იქ არ არის ჰაერის კონვენცია, — ცივი მასა არ ჩამოდის ქვევით და თბილი მასა არ ადის ზევით. საკმარისია, სათბურს გაუკეთდეს ნახვრეტი და ყოველგვარი „სათბურის ეფექტი“ მოიშლება.

დედამიწის ატმოსფერო ღია ჭურჭელია, ასე რომ, ტემპერატურის გაზრდა ნახშირორჟანგთან დაკავშირებული არ არის. რადგან ნახშირორჟანგის კონცენტრაციის გაზრდა, ძირითადად, საწვავის დაწვასთან არის დაკავშირებული, მსმენელს ადვილად აბრიყვებენ, როცა ამბობენ, რომ მიზეზი გამონაბოლქვი აირებია.

რა არის ნახშირორჟანგი? — ნახშირწყლების და სითბოს წვის პროდუქტი, აბსოლუტურად უვნებელი გაზი, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითად კი არ მოქმედებს, პირიქით, ჩვენ ამოვისუნთქავთ მას. რასაც ჩვენ ამოვისუნთქავთ CO_2-ს, იმისი ეკვივალენტური ენერგია მიიღო ჩვენმა ორგანიზმმა; ის არის მთავარი იმისთვის, რომ ის საკვები ნახშირწყლები, რაც მივიღეთ, დაიწვას.

დღეს, გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი მიზანი საწვავის გამოყენების შეზღუდვაა. ამიტომ, ეკონომიკურად სწრაფად განვითარებად ქვეყნებს საწვავის დაწვის შემცირებისკენ მოუწოდებენ (კიოტოს ოქმი).

კიოტოს ოქმი ან პროტოკოლი — გაერო-ს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო-კონვენციის ფარგლებში დადებული დამატებითი საერთაშორისო შეთანხმებაა.

კიოტოს კონვენციისგან განსახვავებით, კიოტოს ოქმი ქვეყნებისთვის სითბური აირების ატმოსფეროში გაფრქვევის კონკრეტულ (თითოეული ქვეყნისთვის განსხვავებულ) ზღვრებს (ლიმიტებს, კვოტებს) ადგენს.

კიოტოს ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება კონტროლი სხვადასხვა ქვეყნებში სათბობის მოხმარების რაოდენობაზე, რაც სახელმწიფოებს შორის გლობალური შეთანხმების საწყისი ეტაპია. ის 1997 წელს მიიღეს და მსოფლიოს თითქმის 200-მდე ქვეყანაშია რატიფიცირებული.

საინტერესოდ ან საეჭვოდ არ გეჩვენებათ, რომ აშშ-მა და ავსტრალიამ ხელი არ მოაწერეს ამ ხელშეკრულებას?

გავიგეთ, რომ 2005 წელს სააკაშვილის ხელისუფლებამ მოაწერა ხელი „ეკოლოგიურ სიგიჟეს“ და კიდევ მრავალ „სიგიჟესა“ და მავნებლობას, მაგრამ მისი ხელისუფლება 13 წელია, აღარ არის!

რაგინდ ახალი ხელისუფლება იყოს, „ჭკვიანურად“ არაფერი დაულაგდება, სანამ „სიგიჟეებს“ არ მოიშორებს!

ხელშეკრულების თანახმად, ქვეყნებს ნახშირორჟანგის გამოყოფა ატმოსფეროში, ანუ საწვავის გამოყენება შეეზღუდათ. როცა ვიღაც აკონტროლებს, რამდენი საწვავი დაწვეს, მით უმეტეს, ეკონომიკურად სწრაფად განვითარებადმა ქვეყნებმა და მას, მაკონტროლებელ ძლიერს, „არ აწყობს“ ეს ამბავი, მოიგონებ სხვადასხვა სახის სანქციებს, რომ მათ სათბობის დაწვა შეუზღუდოს. ვფიქრობ, საკმაოდ მარტივად და გასაგებად ვაყალიბებ საქმის არსს.

გავშალოთ და მზით დავიწყოთ — მზის მიერ გამოსხივებული ენერგია სხივების სახით ეცემა დედამიწას და სიცოცხლის არსებობას განაპირობებს. ადამიანისთვის ცნობილი პლანეტებიდან მხოლოდ დედამიწას აქვს მზის მიმართ უნიკალური მდებარეობა.

დედამიწა 30 გრადუსით უფრო ახლოს რომ ყოფილიყო მზესთან, ვიდრე ახლა არის, ისეთივე ჯოჯოხეთი იქნებოდა, როგორიც ვენერაზეა, სადაც ტემპერატურე 500 გრადუსს აღწევს, ხოლო 30 გრადუსით შორს რომ ყოფილიყო, ისევე გაიყინებოდა, როგორც მარსი.

საგაზეთო პუბლიკაციაში შეუძლებელია ამ ყველაფრის სრული განმარტება, მით უფრო, რომ უამრავ უარყოფით უკუკავშირზეა სასაუბრო, რომლებიც თვით ბუნებრივ პროცესებშია...

ვთქვათ, დედამიწის ტემპერატურამ 26 გრადუსს მიაღწია, რაც ატლანტის ოკეანეში ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა, მაშინ აორთქლებული წყლის ორთქლის ნაკადიც ამდენადვე გაიზრდება, რაც იწვევს ქარბორბალებს, ტორნადოებს. რაც უფრო მაღალია ტემპერატურა 26 გრადუსზე, მით უფრო ძლიერდება და დამანგრეველია ტორნადო, რომელიც, თავის მხრივ, ენერგიას ართმევს ოკეანის წყალს და მას აცივებს. აი, სწორედ ამის შედეგია, რომ გოლფსტრიმის თბილი დინება, რომელიც ატლანტის ოკეანეში გადის, ცივდება. დამანგრეველი ტორნადოების რაოდენობაც დროში რხევას განიცდის.



„საერთო გაზეთის“ 44-ე ნომერში ვწერდი გოლფსტრიმის თბილ დინებაზე, მეცნიერების, ამერიკელი კერტ დონოვანისა და სამხრეთ-კორეელი კუნგ ფოს მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოდგენილი თეორიების შესახებ...

თვალნათელია, რომ გლობალური დათბობის პროცესებზე ნახშირორჟანგის გაზის რაოდენობა გავლენას არ ახდენს, **ეს არის პოლიტიკურ-ეკონომიკური შანტაჟი, ეკონომიკურად სწრაფად განვითარებადი აღმოსავლეთის ქვეყნების საწინააღმდეგოდ მიმართული!**

ამჟამად, მზეზე წყალბადის სინთეზის თერმობირთვული რეაქციების შედეგად ენერგიის მცირე ნაწილს მზისგან ვიღებთ. რეაქციის შედეგად მიიღება ჰელიუმი, რომელიც მზის მასის დაახლოებით 10 %-ია. მაგრამ მომავალში, როდესაც მზეზე წყალბადი გამოილევა, მზე თანდათანობით შეიკუმშება, კიდევ უფრო გახურდება და ახალი თერმობირთვული რეაქციების ციკლი დაიწყება ჰელიუმისა და სხვა მსუბუქი ელემენტების სინთეზით. მას ნელ-ნელა დაემატება უფრო მძიმე ელემენტები, ტემპერატურა უფრო მოიმატებს და, საბოლოოდ, მზე გავარვარებულ ნეიტრონულ ვარსკვლავად გადაიქცევა. თერმობირთვული რეაქციებიც ჩაკვდება და მზეც გაცივდება — ვინ იცის, რამდენი „მკვდარი მზეა“ ამ უკიდეგანო სამყაროში...

დედამიწაზე, მისი გადახურების გამო, გაცილებით ადრე შეწყდება სიცოცხლე. როდესაც მზეზე წყალბადის სინთეზის ციკლი დასრულდება და მზის ტემპერატურა საგრძნობლად აიწევს, დედამიწაზე მთელი წყალი აორთქლდება.

რაც იბადება, ის აუცილებლად კვდება, თუმცა, მანამდე სულ ცოტა, 5 მილიარდი წელი გავა...

გამოიყვანეთ საქართველო „გლობალური სიგიჟიდან“!

მაია ჭელიძე



შეუძლია თუ არა სამყაროს ფიქრი?

გერმანელი თეორეტიკოს-ფიზიკოსი, მეცნიერების ფილოსოფოსი, დოქტორი საბინე ჰოსენფელდერი აცხადებს, რომ შესაძლებელია, სამყარო აზროვნებდეს. ამის შესახებ მან დაწერა თავი თავისი მეორე წიგნისთვის, რომელშიც განმარტავს, რატომ სჯერა, რომ ეს შესაძლებელია.

ჩვეულებრივ, არგუმენტი იმის შესახებ, თუ რატომ არ შეუძლია სამყაროს აზროვნება, ასეთია — ჩვენ დანამდვილებით, სრულად არ ვიცით, რას ნიშნავს ინტელექტი ან ცნობიერება, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი მაგალითების გათვალისწინებით, ეს მოითხოვს ბევრი ინფორმაციის გადაცემას — აზროვნება მოითხოვს რაღაცის გადაცემას სადღაც სხვაგან და ეს ნამდვილად არის ის, რაც გჭირდებათ იმის გასაგებად, თუ რატომ არ შეუძლია სამყაროს აზროვნება. ყოველ შემთხვევაში, ეს არის, რასაც გეტყვით "ნებისმიერი საღად მოაზროვნე ფიზიკოსი".

ეს იმიტომ ხდება, რომ აინშტაინის სივრცისა და დროის თეორიები გვეუბნება, რომ შეუძლებელია რისამე უფრო სწრაფად გადაადგილება, ვიდრე სინათლის სხივის. ეს ნიშნავს, რომ თუ გსურთ, რომ რომელიმე სისტემამ კარგად გადასცეს ბევრი ინფორმაცია თავის ნაწილებს შორის, ის მცირე უნდა იყოს.

სამყაროს სიგანე დაახლოებით 10 მილიარდი სინათლის წელია, ასე რომ, მინიმუმ 10 მილიარდი წელი დასჭირდება თუნდაც ერთი სიგნალის გაგზავნას ერთი მხრიდან მეორემდე. თუნდაც „ირმის ნახტომს" გადავხედოთ, ჩვენ მაინც 100 000 სინათლის წელზე ვსაუბრობთ.

ძალიან საეჭვოა, რომ გალაქტიკებს აქვთ საკმარისი სტრუქტურა ინფორმაციის დამუშავებისთვის, მაგრამ ჩვენ არ უნდა გავართულოთ ეს. უბრალოდ, სიგნალების სიჩქარით გავითვალისწინებთ — გალაქტიკები ძალიან დიდია ამაზე ფიქრისთვის. მათ შეეძლოთ მაქსიმუმ იმდენი სიგნალის გაგზავნა ერთი ბოლოდან მეორეზე, რამდენსაც ადამიანის ტვინი დაახლოებით ერთ დღეში და ეს გვერდით დატოვებს კითხვას, თუ როგორ განვითარდებოდა ასეთი სისტემა და გახდებოდა ინტელექტუალური. ასე რომ, რომ არსებობდეს რაღაც, რაც ფიქრობს, ის არ უნდა იყოს ძალიან დიდი, არც ძალიან პატარა, რადგან, რაც უფრო პატარაა სისტემა, მით ნაკლები სტრუქტურა იქნება მის შიგნით და მით უფრო გაჭირდება ინფორმაციის შენახვა.

ყველაზე პატარა სტრუქტურა, რომელშიც ჩვენ ვიცით, როგორ შევინახოთ ინფორმაცია, არის ატომები. მაგალითად, სპინის მდგომარეობებში. შესაძლოა, არსებობს ატომის ბირთვებში ინფორმაციის შესანახად საშუალება, რომელიც ჩვენ, უბრალოდ, არ ვიცით, მაგრამ საბოლოოდ, თქვენ მიაღწევთ ელემენტარული ნაწილაკების მასშტაბებს, მათ კი არ აქვთ ქვესტრუქტურა, ყოველ შემთხვევაში, რაც ჩვენ ვიცით.

ამიტომ, მოკლედ, ჩვენ ვპოულობთ რთულ სისტემებს ამ შუალედურ დიაპაზონში. ის, რასაც ჩვენ გარშემო ვხედავთ. პლანეტები, ადამიანები და ა. შ. აზროვნების უნარის მქონე სისტემების ზომა საბოლოოდ განისაზღვრება ბუნების მუდმივებით და სივრცისა და დროის სტრუქტურით — ამიტომ არ მგონია, ეს კარგი არგუმენტი იყოს. სივრცისა და დროის სტრუქტურაში ვგულისხმობ ლოკალურობას, ეს ნიშნავს, რომ რაღაცამ ერთ ლოკაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს მხოლოდ მის გვერდით. გავლენებს არ შეუძლიათ გადახტომა ერთი ადგილიდან მეორეზე, შუალედური გზის გავლის გარეშე, ეს იქნება არალოკალური. ჩვენ არ ვიცით, რატომ არის ასე, მაგრამ ჩვენი გამოცდილებიდან ვიცით, რომ სამყარო ადგილობრივია, ანუ ლოკალურია. ყველაფერი უბრალოდ არ ქრება.

სამყაროს აქვს ეს ლამაზი წესრიგი სივრცის სამი განზომილებით და დროის ერთი განზომილებით, როგორც აინშტაინმა თქვა. და მაინც, ჩვენ ასევე ვიცით, რომ აინშტაინის ფარდობითობის ზოგადი თეორია არასრულია, რადგან ის არ არის თავსებადი კვანტურ ფიზიკასთან. რატომღაც ეს ორი ერთმანეთს უნდა მოერგოს. კვანტური ფიზიკა არ არის ადგილობრივი (არ არის ლოკალური).

თუ მე გავზომავ ნაწილაკის სუპერპოზიციას, რომელიც ერთდროულად ორ ადგილზეა, მაშინ ამ ერთი ადგილის გავლენა თითქოს არაადგილობრივად გადადის მეორეზე.

დიახ, მე თვითონ ვთქვი, რომ ეს მათემატიკის არასწორი ინტერპრეტაციაა, მაგრამ ასეც რომ იყოს, ის გვეუბნება, რომ არის რაღაც ადგილმდებარეობის შესახებ, რაც ჩვენ ბოლომდე არ გვესმის. თვით აინშტაინის თეორიაშიც კი, ლოკალიზაცია ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ზოგიერთი ბადის მარტივი წესრიგი, სადაც საგნები ან ერთმანეთის გვერდით არიან ან — არა. ეს იმიტომ ხდება, რომ თუ სივრცე და დრო შეიძლება გამრუდდეს, ორ ადგილს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე განსხვავებული კავშირი, მათ შორის, სხვადასხვა სიგრძით.

„ჭიის ხვრელი" ხშირად არის გამოსახული, როგორც ერთგვარი გრძელი გვირაბი, მაგრამ ეს საერთოდ არ არის მისი მართებული აღწერა. „ჭიის ხვრელს" სიგრძე არ აქვს — ამაშია საქმე სწორედ. ის სინამდვილეში არის პორტალი, მიდიხარ ერთ ბოლოში და გამოდიხარ სხვაგან, ისეთ ადგილას, რომელიც ძალიან შორსაა. იგივეა, რაც პორტალში რომ არ გასულიყავი და, „ჭიის ხვრელები" თავსებადია აინშტაინის თეორიებთან.

ჩვენ არ ვიცით, როგორ შევქმნათ ისინი და რომც ვიცოდეთ, არ გვეცოდინება, როგორ შევინარჩუნოთ ისინი ღიად, მაგრამ მათემატიკურად ეს შესაძლებელია. კვანტურ ფიზიკაში კი ყველაფერი, რაც შესაძლებელია, შეიძლება მოხდეს და ხდება კიდეც.

ეს ნიშნავს, რომ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ გვჭირდება სივრცისა და დროის კვანტური აღწერა, ეს აუცილებლად გააფუჭებს ლოკალურობის ჩვენს სუფთა და მოწესრიგებულ წარმოდგენას. მას ექნებოდა ბევრი მოზარდი პაწაწინა „ჭიის ხვრელი" და ისინი პატივს არ სცემდნენ ლოკალურობის ნებისმიერ ცნებას.

შესაძლოა, თქვენ წინ იყოს პატარა „ჭიის ხვრელი", რომელიც ანდრომედას უკავშირდება. თქვენ ვერასდროს გაიგებთ, რადგან ძალიან დიდი ხართ იმისთვის, რომ გაიაროთ მასში. ისინი ზედმეტად მცირე იქნებოდნენ ელემენტარული ნაწილაკების გასავლელადაც კი, ასე რომ, ჩვენ ვერ შევამჩნევდით, მაგრამ ისინი დააკავშირებენ სამყაროს საკუთარ თავთან.

მე არ ვამბობ, რომ ეს ასეა, მე უბრალოდ, ვამბობ, რომ სამყაროს თვითდაკავშირების საკითხი მცირე მანძილის მასშტაბით ხვდება ისეთ რეჟიმში, სადაც არც თეორია გვაქვს და არც მონაცემები. ამის გამორიცხვის საშუალება არ არსებობს.





არგუმენტი იმის შესახებ, რომ სიგნალებს არ შეუძლიათ სინათლეზე სწრაფად გადაადგილება, ასევე, ღრმად მცდარია. მოკლედ რომ ვთქვათ, აინშტაინის თეორია არ გამორიცხავს სინათლის სიჩქარით მოძრაობაზე უფრო სწრაფ მოძრაობას, ის უბრალოდ, ამბობს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გადავიდეთ სინათლის სიჩქარიდან დაბალი სიჩქარით ზემოთ. ასე რომ, სინათლეზე უფრო სწრაფი სიგნალები შეიძლება არსებობდეს, რომლებსაც ატარებენ ნაწილაკები სახელად ტაქიონები.

ხანდახან მოისმენთ ფიზიკოსების მტკიცებას, რომ ეს შექმნის მიზეზობრიობის პარადოქსებს, მაგრამ ეს არ არის სწორი. ეს პარადოქსები არ შეიძლება მოხდეს, რადგან ენტროპიის ზრდა განსაზღვრავს დროის ერთ მიმართულებას - წინ. თქვენ შეგიძლიათ სინათლეზე სწრაფად წასვლა, მაგრამ დროში არა უკან, ისე, რომ ენტროპია შემცირდეს.

თუ სამყაროს შეუძლია ჰქონდეს ყველა ეს თვითდაკავშირება, ან თუ არსებობს სინათლის ნაწილაკებზე უფრო სწრაფი გადაადგილება, ინფორმაცია შესაძლოა, მილიარდობით წლის განმავლობაში ტრიალებდეს გალაქტიკათა გროვების შორის. სამყაროს შეიძლება ბუნებრივად ჰქონდეს განვითარებული ქვესისტემები, რომლებიც ჩვენზე ბევრად უფრო ინტელექტუალურია. ქვესისტემები, რომლებიც არ იქნებიან კონკრეტულ ადგილას ლოკალიზებული, არამედ თითოეული მათგანი გავრცელებული შეიძლება იყოს მთელ კოსმოსში.

ვფიქრობ, ახლა გესმით, რატომ ამბობენ, რომ საბინა არ შეიძლება იყოს სერიოზული. და მაინც - მე ამას სერიოზულად ვამბობ.

ვხედავ, მე კარგად ვიცი, რომ დავბერდი. მე დავინახე, რა ემართებათ მეცნიერებს ასაკთან ერთად. ისინი ხშირად - არა ყოველთვის, მაგრამ ხშირად, იჯერებენ სამყაროს კონკრეტულ მოდელს, რომელიც მათ მიაჩნიათ, რომ ზუსტია. ჩვეულებრივ, ეს არის მოდელი, რომელზეც ისინი მუშაობენ მთელი ცხოვრება.

ფიზიკის საფუძვლებში ამ მოდელს აქვს ის, რომ ლოკალურობა და მიზეზობრიობა არის ყველაფრის საფუძველი, სინათლეზე უფრო სწრაფი მოგზაურობა შეუძლებელია და სივრცე და დრო გლუვი მოწესრიგებული ფონია.

მე ვერ ავიცილებ თავიდან დაბერებას, მაგრამ მე შემიძლია შეგნებული ძალისხმევით ვიყო გონებაგახსნილი ნებისმიერი რეალობის მისაღებად. ასე რომ, ვცდილობ შევახსენო ჩემს თავს, რომ ჩვენ არ ვიცით, რომ სივრცე პატივს სცემს ლოკაციას იმაზე მოკლე დისტანციებზე, ვიდრე ჩვენ გამოვცადეთ და ეს შეიძლება მართლაც ნიშნავდეს, რომ სამყაროს შეუძლია აზროვნება.

მე არ ვამბობ, რომ სამყარო ფიქრობს. ჯერ არც ისეთი „გიჟი" ვარ, რომ დაუმტკიცებელ რამეზე მტკიცებითი ფორმით ვისაუბრო, მე ვამბობ, რომ არ ვიცით, რომ არ ფიქრობს - არავის შეუძლია ამის გამორიცხვა.

ხანდახან მაინტერესებს. თუ სამყარო ფიქრობს, რას ფიქრობს? იცის ჩვენზე? პასუხობს ლოცვებს? არის თუ არა ბნელი ენერგია სამყაროს ხერხი, რომ დაგვტროლოს? თუ სამყაროს შეუძლია აზროვნება, შეიძლება ატომის ბირთვებიც ფიქრობდნენ?

მაკა ჯაყელი

ჩილოდან – აფრიკის სავანებსა და ვიეტნამის ჯუნგლებში



სტუდენტობისას გავიგე, რომ ჩემი ნათესავი აზია-აფრიკაში მუშაობდა და სიცილად არ მეყო, — ამდენი შნო თუ ჰქონდა, ევროპა-ამერიკაში ემუშავა-მეთქი. ცოტა რომ დავფიქრდი, გამიკვირდა, თუშეთის, ფაქტობრივად, მივარდნილი სოფლიდან, ჩილოდან, აფრიკასა და ვიეტნამში როგორ მოხვდა, ან რა ენაზე ელაპარაკება იმ ხალხს-მეთქი? იმ დროზეა საუბარი, საბჭოთა „რკინის ფარდა“ რომ გვყოფდა დანარჩენი სამყაროსგან. თურმე, არჩილა ძიაზე იყო ლაპარაკი, უსათნოეს არჩილ აქიმიძეზე, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი მკვლევარ-გეოლოგი არის. „იყო“-ს ვერ ვიტყვი, რადგან, მართალია, ასაკი თავისას შვრება, მაგრამ 96 წელს მიტანებული ძია არჩილი დღესაც ისეთივე შემართებისაა, სხარტი გონებითა და უდიდესი სამმებრო-გეოლოგიური ცოდნით, როგორიც იყო.

ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო საკითხავი იქნება ძია არჩილის ნაამბობი, რომელიც მის შვილთან, ლეილა აქიმიძესთან შეთანხმებით, თხრობითი ფორმის „დისქავერად“ ვაქციე, სადაც საუბარია ანტილოპებზე, მარჯნის რიფებზე, ბედუინებზე, გველებზე, ძაღლის ხორცზე...

არჩილ აქიმიძე: „გეოლოგიური ფაკულტეტი რომ დავამთავრე, მუშაობა ჩრდილოეთ კავკასიაში, ტყვია-თუთიის საბადოზე დავიწყე. ერთი წლის შემდეგ გადავედი ურუპის ექსპედიციაში, რომელიც სპილენძის საბადოების დაზვერვას აწარმოებდა. ამ საბადოზე გავიარე საწარმოო პრაქტიკა. ექსპედიციიის უფროსი იყო ნიკოლაი სპივაკი, ქართველების დიდი პატივისმცემელი. ჩრდილოეთ კავკასიის მადნიან საბადოებზე ვიმუშავე 12 წელი, დაუსწრებლად დავამთავრე როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და დავიცავი საკანდიდატო, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის სპილენძის მადნების პირველადი შარავნდების განაწილების კანონზომიერებას ეხებოდა.

1968 წელს ჩამოვედი საქართველოში და მივიღე დავალება, რომ კახეთის მთიან რეგიონში გეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებელი პროექტი შემედგინა. 1975 წელს გეოლოგიური სამმართველოს უფროსმა, ბორის გუჯეჯიანმა გამომიძახა და ფერადი და კეთილშობილი ლითონების საბადოების კონსულტანტად ორი წლით სუდანში წასვლა შემომთავაზა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, მაგრამ სპეცნაწილში აღმოჩნდა, რომ თურმე, კონკრეტული აეროფოტოსურათები არ ჩამიბარებია, — ვერაფრით ვუმტკიცებდი, რომ გეოლოგიურ ანგარიშებთან ერთად საიდუმლო მასალებიც ჩაბარებული მქონდა. სამსახურიდან გაგდებას ვინ ჩივის, სისხლის სამართლის პასუხგებაში მიმცემდნენ, როგორც საიდუმლო მასალების დამკარგავს თუ გამყიდველს... ექსპედიციის უფროსი მტკიცედ დამიდგა გვერდზე, სანამ ჩვენ არ დავრწმუნდებით, რომ საიდუმლო მასალები ნამდვილად გამქრალია, არ მოგცემთ უფლებას, სათანადო ორგანოებს რომ შეატყობინოთო. მიუხედავად სპეცთანამშრომლის, ტკაჩენკოს სასტიკი წინააღმდეგობისა, მე და ჩემმა კოლეგა-მეგობარმა კატეგორიულად მოვითხოვეთ სპეცნაწილის სეიფების შემოწმება. გავხსენით სეიფები და აღმოვაჩინეთ, რომ სეიფის ქვედა თაროზე კოხტად ელაგა ჩვენი მასალები. გავგლეჯდი ტკაჩენკოს, მაგრამ არ შეიძლებოდა, სიტყვიერი გასილაქებით დამთავრდა ეს ინციდენტი. „ცივი ომის“ დრო მოხდა, რას დამაბრალებდნენ, ხომ წარმოგიდგენიათ?

სუდანში წასვლაზეც პრობლემები შემექმნა, მაგრამ ბოლო-ბოლო, ჩავფრინდით ხართუმში. წაგვიყვანეს სასტუმროში, დაგვაბინავეს და წავედით საელჩოში. საახალწლო მზადება იყო, ნაძვისხეს რთავდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთად შევხვდებოდით ახალ წელს, მაგრამ ნურას უკაცრავად! სპეციალისტების კურატორი ვინმე როდიონოვი იყო, მან მითხრა, რომ მოვიდოდა სასტუმროში და მოგვილოცავდა. საზღვარგარეთ მუშაობისას გავერკვიე იმაში, რომ საელჩოს თანამშრომლები ყოველთვის ცალკე გუნდი იყო და არასდროს ჰქონდათ სურვილი, საერთო ჰქონოდათ კონტრაქტით ჩასულ სპეციალისტებთან, ხშირად ახლოსაც არ უნდოდათ გაკარება...

ახალი წლის ადრიან დილას გაგვიყვანეს აეროპორტში პორტ-სუდანში გასაფრენად. როგორც იტყვიან, ასე მოვხვდით „ს კარაბლია ნა ბალ!“

აღმოჩნდა, რომ ჩვენი გაფრთხილების გარეშე, კონტრაქტში გათვალისწინებული ფერად და კეთილშობილ ლითონებზე სამუშაოები სუდანის მხარეს ინგლისისთვის გადაუცია და ტყუილად ჩავედი. ჩვენმა მხარემ აჩვენა მათ მიერვე გამოგზავნილი წერილი ჩვენი საელჩოსთვის და მაგნიუმისა და რკინის საბადოზე მუშაობაღა შემომთავაზეს. საბადოზე ნამყოფი არ ვიყავი, მაგრამ ჭიათურის საბადოზე მქონდა სადიპლო დაწერილი და მაგნიუმის საბადო ავირჩიე.

საველე სამუშაოები წითელი ზღვის სანაპიროზე, სუდანისა და ეგვიპტის საზღვართან გვქონდა, აქვე იყო გაშლილი ჩვენი კარავიც. ოთხი საბჭოთა სპეციალისტი ვიყავით: ორი გეოლოგი, თითო ბურღვის სპეციალისტი და გეოფიზიკოსი. ვცხოვრობდით 10-ადგილიან კარავში. რაგინდ მაღალი ტემპერატურა ყოფილიყო, კარვის კალთებს ვწევდით, რომ ნიავს ემოძრავა, იატაკად კი მატყლისგან მოთელილი თექა გვეფინა, რადგან მორიელები მატყლს ერიდებიან. რამდენჯერ მინახავს სიცხისგან გაჭირვებული კუდაბზეკილი მორიელი როგორ შემოქანდებოდა კარავში, მაგრამ თექას რომ მიუახლოვდებოდა, შეჩერდებოდა, შემდეგ გაირბენდა თექის გასწვრივ და ტოვებდა კარავს.

სუდანის მხრიდან ჩვენთან სამი არაბი გეოლოგი მუშაობდა. მათი გეოლოგიური მომზადების დონე დღემდე არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რაც ერთმა მათგანმა მიპასუხა: არაბების პრინციპია: **ცოტა ილაპარაკე, ბევრი მოისმინე!**

10 იანვარს ავიღეთ მიმართულება ჩრდილოეთისკენ და ბაზაზე მისვლისთანავე საძილე ტომრებში ჩავწექით. ჩაძინებული არ ვიყავით, რომ გაისმა ყვირილი: „ალლაჰ...“

ჩემი თარჯიმანი გადაირია „ზატკნის სვოლოჩ, სპაც ხოჩეტსაო“, მაგრამ ვინ გაიგონებდა...

გზაზე პირველად ვნახე სირაქლემები და გავიფიქრე, რა მოუქნელები არიან-მეთქი, მაგრამ მანქანის მიახლოებაზე ისე მოკურცხლეს, ჩვენ ხომ საშინელი მტვრის კორიანტელი დაგვატეხეს და მათ თვალიც ვეღარ მივადევნე.

ბევრი რამის მოყოლა შემიძლია სირაქლემებზე, რაც ჩემი დაკვირვებით გავიგე. როცა სირაქლემა „შეყვარებულია“, ჯდება თავის გრძელ ფეხებზე, თავს გადასწევს უკან და ზურგს ისრესს. ამ მომენტში ყელი და ფეხები უწითლდებათ. დედალი სირაქლემა ხვდება, რაშია საქმე და მინარნარობს. მამალი დიდი ნაბიჯებით მიჰყვება უკან, თავს აწონებს და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან შთამომავლობის გაგრძელებაში ღირსეული ადგილი მამალს უჭირავს. სწორედ მამალი სირაქლემა ქვიშაში ორმოს თხრის და ზედ ჯდება, დედალი ცხვირწინ უდებს კვერცხს, ის კი ნისკარტით ჩააგორებს ორმოში. მთელი ღამის განმავლობაში მამალი სირაქლემები გვიან დილამდე სხედან ორმოზე. დღის განმავლობაში მამლებს დედლები ცვლიან, შესაბამისად, დედლები უფრო ცოტა ხანი სხედან კვერცხებზე. სირაქლემას კვერცხი 1,5-2 კგ-მდე იწონის, იმდენს, რასაც ქათმის 25-36 კვერცხი. სირაქლემის კვერცხის ნაჭუჭი გამომწვარი თიხის სიმაგრისაა. საინტერესოა, როგორ ახერხებს ბარტყი მის გატეხვას შიგნიდან და იქიდან გამოძრომას.



თუშეთი. სოფელი ჩილო

ერთ დღეს, სირაქლემას ერთი ბარტყი დავიჭირეთ, წავიყვანეთ პორტ-სუდანში და ოჯახში ვზრდიდით, „სტიოპა“ დავარქვით. ძალიან მალე შეეჩვია ოჯახურ გარემოს. ისე სწრაფად იზრდებოდა „სტიოპა“, რომ ექვს თვეში ერთი მეტრი სიმაღლის გახდა. ძალიან უყვარდა სუფრასთან მოლხენა.

ჩვენს კოლეგას დაბადების დღე ჰქონდა და მდიდრული სუფრა გავაწყვეთ. გარკვეულ მომენტში ნება დავრთეთ და რომ დაიწყო „სტიოპამ“ ჭამა, მიმდევრობაც კი არ შეშლია, ხორცეულითა და თევზეულით რომ ამოიყორა, კისერიც გაებერა და თვითონ ტიკივით გახდა, არ გაჩერდა, ნამცხვრებს მისდგა და მანგოც მიაყოლა, არც ყავის ჭიქები დაავიწყდა. მის ქცევაზე ძალიან ვხალისობდით, მაგრამ შეგვეშინდა, „კონგლომერატებით“ ამოვსებულ კუჭზე პრობლემა არ შექმნოდა, — ძლივს მოვაშორეთ მაგიდას.

სირაქლემა სიმართლის სიმბოლოდ ითვლებოდა ძველ ეგვიპტეში, მათ ფრთებს მთავარსარდალთა მუზარადების შესამკობად იყენებდნენ. XVIII საუკუნეში მოდაში შემოვიდა როგორც ქალბატონების შესამკობი აქსესუარი, რამაც სირაქლემების მასიური განადგურება გამოიწვია არაბეთსა და სპარსეთში, მხოლოდ აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში, უდაბნოს ჩრდილოეთით არის შესაძლებელი ცოცხალი სირაქლემის ნახვა.

მაია ჭელიძე

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99